

## თემა 6: ბიზნესის ორგანიზების ფორმები

მასალა დისტანციური (ონლაინ) ფორმატით სწავლებისათვის. სილაბუსით გათვალისწინებული თემა №6 (ნაწილი: პირველი და მეორე). 10 კრედიტიანი.

თემის მასალა იხილეთ სახელმძღვანელოში: უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები (მექანიზმები, გადამუშავებული, დამატებებით). თეორია, დედაზრი ჩანართით, პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თემატიკა. თბ. 2016. სილაბუსით გათვალისწინებული თემა №5 გვ.182 - -214; გვ. 387-390

### 6.1. ფირმის არსი, სახეობები, ჩამოყალიბება და კონკურენტუნარიანობა

- საკუთარი საქმის ჩამოყალიბების გზები
- ფირმის არსი, სახეობები და კონკურენტუნარიანობა

### 6. 2. მცირე საწარმო, ფრანჩაიზი და ვენჩერული ფირმა

### 6. 3. მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

- ინდივიდუალური საწარმო
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- კომანდიტური საზოგადოება
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- აქციონერული საზოგადოება
- კოოპერატივი

### 6.4. მეწარმე სუბიექტები და მათი რეგისტრაცია

- საწარმოს რეგისტრაციის მნიშვნელობა და პროცედურა
- რა შემთხვევაში შეიძლება ეთქვას უარი საწარმოს რეგისტრაციაზე?
- საზოგადოების წესდების არსი და მასში ასახული ელემენტები
- საწარმოს ლიკვიდაცია და გაკოტრება

## 6.1. ფირმის არსი, სახეობები, ჩამოყალიბება და კონკურენტუნარიანობა

**საკუთარი საქმის ჩამოყალიბების**

### გზები

ცხადია, როცა უკელაფერი ნათქვამია-მიღებულია გადაწყვეტილება გახდეთ მეწარმე; განსაზღვრულია თუ რომელი საქონელი და მომსახურება უნდა აწარმოოთ; გარკვეულია ფლობთ თუ არა ყოველივე იმას, რაც აუცილებელია შერჩეული საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის; შემუშავებულია ბიზნეს-გემა ანუ არსებობს ზუსტი და მკაფიო მიზნები განხორციელების კონკრეტული გზებით, ამის შემდეგ მისი წარმატებული რეალიზება დამოკიდებულია ადამიანთა გაერთიანებაზე ანუ საქმიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე (დაფუძნებაზე).

**საკუთარი საქმის დაფუძნება (ჩამოყალიბება) შესაძლებელია სამი გზით:**

- უკვე არსებული საწარმოს შესყიდვით;
- ახალი საწარმოს ცარიელ ნიადაგზე შექმნით, ასე ვთქვათ, საქმის ნულიდან დაწყებით;
- გარკვეული თანხის ( 150–200 ათასი აშშ დოლარი) საფასურად ფრანჩაიზის შექმნით.

**უკვე არსებული საწაროს შესყიდვა გულისხმობს:** იმის გარკვევას—არსებული საწარმოს შეძენა სჯობია თუ ფრანჩაიზი; ასევე, არსებული საწაროს ყიდვის მიზანშეწონილობის დადგენას; გამყიდველის მოძიებასა და მისი მოტივების გარკვევას; საწარმოს ფინანსური ასპექტების შეფასებას; საწარმოზე ფასის დადებას, სახელშეკრულებო ფასის დადგენასა და საწარმოს შესაძენი სახსრების მოძიებას.

უკვე არსებული საწარმოს, საგადასახადოსთან და კრედიტორებთან დალაგებული ურთიერთობებით, მომწოდებლებით, მომხმარებლებითა და გარკვეული იმიჯითურთ, „შეძენა“ უფრო ნაკლებ რისკთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ახალი საწარმოს შექმნა. ვინაიდან მყიდველს შეუძლია გაეცნოს არსებული საწარმოს ბალანსს, დათვალის მისი სასაქონლო—მატერიალური ფასეულობანი, მოწყობილობანი, გაითვალისწინოს კლიენტთა მყიდვრელობითი ჩვევები და სხვა. ყოველივე ეს ამცირებს გარემოსადმი მის ადაპტირების დროსა და რისკს, ასევე რეკლამის ხარჯებს.

არსებული საწარმოს ფასის განსაზღვრისათვის პერსპექტიულ მყიდველს შეუძლია გამოიყენოს წმინდა მოგების შეფასების მეთოდი ან აქტივების შეფასების მეთოდი. მოგების შეფასების მეთოდი უფრო ზუსტია, რამდენადაც მიზანმიმართულია მომავალ მოგებაზე; აქტივების შეფასების მეთოდი კი

განიხილავს მხოლოდ აქტივებს, მათი მომგებიანობის გაუთვალისწინებლად. საწარმოს შეძენამდე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გამყიდველის ბუღალტრული წიგნების აუდიტის ჩატარებას.

დამწყებ ბიზნესმენთა უმრავლესობა საკუთარ საქმეს ცარიელ ნიადაგზე ანუ ნულიდან იწყებს. სამეურნეო პრაქტიკა და სტატიტიკური მონაცემები ცხადყობს, რომ ამ გზით მიმავალ მეწარმეთა 90% საკუთარ ბიზნესს სწორედ საქმიანობის ნაცნობ სფეროში იწყებს.

პრაქტიკული გამოცდილების უქონლობის შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქმიანობის სფეროს სწორად შერჩევა და კარგი იდეა.

მართალია, პოტენციური ბიზნესმენი საქმიანობის სფეროს დამოუკიდებელად ირჩევს, მაგრამ მას მაინც უწევს სხვადასხვა სახის ბიზნესისათვის დაწესებული სამართლებრივი ოუ ეკონომიკური ბარიერების გათვალისწინება. კერძოდ, არსებობს საქმიანობის აკრძალული სფეროები (მაგალითად, ასაფეთქებელი ნივთიერებების, იარაღისა და ნარკოტიკების წარმოება); ზოგი საქმიანობა ლიცენზიას (სპეციალურ ნებართვას) საჭიროებს, მაგალითად, საბანკო, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობა; არსებობს წმინდა ეკონომიკური ხასიათის შეზღუდვებიც—საწყისი ინვესტიციების მაღალი დონე და დაბანდებული საშუალებების გამოსყიდვის ხანგრძლივი პერიოდი, მაგალითად, მანქანაომშენებლობაში.

საჭიროა გათვალისწინებული იქნას, ასვე, საქმიანობის ნავარაუდევ დარგში და რეგიონში ეკონომიკური კონიუნქტურა. წვეულებრივ, ისე ხდება, რომ ცალკეული რეგიონები ელგისებურად ვითარდებიან, სხვებში კი შეიმჩნევა უძრაობა. სიტუაციის შესაბამისად აგებენ თავიანთ ქცევებს მეწარმენიც—მიისწრაფიან განვითარებული რეგიონებისაკენ.

იგივე ითქმის დარგებზეც: ერთნი ვითარდებიან სწრაფად, მეორენი ნელა, მესამენი კი პირიქით, განიცდიან დაცემას. ბიზნესისათვის პრიორიტეტულია ახალი და დინამიური დარგები.

ფრანჩაიზზე ამავე თემის მეორე პარაგრაფში ვისაუბრებთ.

### ფირმის არსი, სახეობები და კონკურენტუნარიანობა

ბიზნესის სამყაროში მთავარი ობიექტი ფირმაა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ თანამედროვე ეკონომიკაში ფირმები აწარმოებენ საქონლისა და მომსახურების ძირითად მასას.

ფირმა არის ორგანიზაცია, რომელიც ფლობს და მართავს ერთ ან რამდენიმე საწარმოს და რესურსებს იყენებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის მოგების მიღების მიზნით.

ბიზნესის სამყაროში ფირმას მისი სახელწოდებით, სასაქონლო ნიშნით და რეკლამით იცნობენ. ფირმის დასახელება შეიძლება დაემთხვეს მეწარმის სამოქალაქო სახელს. ვთქვათ, გერმანული ჩატარების „მარტინ ბაუერი“. ეს ფირმა

დაარსა 1930 წ. ფერმერმა მარტინ ბაუერმა ბავარიაში. შეიძლება ფირმის სახელწოდებაში მისი საქმიანობის საგანი აისახოს. მაგ. „ჯენერალ მოტორსი“ - აწარმოებს ავტომობილებს, „ჯენერალ ელექტრიკი“ - ნათურებს. „ჯენერალ მილზი“ - ფქვილსა და ფქვილის ნაწარმს. თუმცა, ხშირად ფირმის დასახელება არ იძლევა წარმოდგენას საწარმოს ხასიათზე.

ფირმის მომგებიან ფუნქციონირებას ბიზნესმენი თავის გუნდთან ერთად უზრუნველყოფს. მოგების მიღების მთავარი საშუალება კი ფირმის კონკურენტუნარიანობა და კონკურენტუპირატესობაა.

ფირმის კონკურენტუნარიანობა ეს არის მისი რეალური და პოტენციალური შესაძლებლობა აწარმოოს და რეალიზაცია გაუკეთოს საქონელს, ან გასწიოს მომსახურება, რომელიც ფასობრივი და არაფასობრივი (ხარისხებრივი) მახასიათებლებით უფრო მიმზიდველია, ვიდრე კონკურენტი ფირმის საქონელი და მომსახურება.

ფირმის კონკურენტუპირატესობა კი სამ პირობას უნდა აქმაყოფილებდეს: 1. ფირმის პრტოდუქციის უპირატესობა მომხმარებელთათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს; 2. ეს უპირატესობა მომხმარებელთა მიერ იოლად უნდა აღიქმებოდეს; 3. ეს უპირატესობა გარკვეული ხანგრძლივობით უნდა ხასიათდებოდეს.

ფირმების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ახდენენ. მათგან მთავარია საკუთრების ფორმა, საქმიანობის ხასიათი, დარგობრივი კუთვნილება, წარმოებაში დომინირებული ფაქტორი, სამართლებრივი სტატუსი და ფირმის სიდიდე.

საკუთრების ფორმის მიხედვით ფირმა შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ პირს - ინდივიდუალური საწარმო; ორ ან მეტ პარტნიორს - პარტნიორული საწარმო (სპს; კს); მრავალ პარტნიორს - კორპორაციული საწარმო (შპს, ას) და სახელმწიფოს. ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ითვლება კერძოდ. მიუხედავად იმისა, ერთი პირის მიერ არის დაარსებული თუ არა.

საქმიანობის ხასიათის მიხედვით გამოყოფენ მატერიალური დოვლათის (სამომხმარებლო და ინვესტიციური საქონელი) და მომსახურების მწარმოებელ ფირმებს.

დარგობრივი კუთვნილების მიხედვით ანსხვავებენ სამრეწველო, სასოფლო—სამეურნეო, სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა ფირმებს.

წარმოებაში დომინირებული ფაქტორის მიხედვით ფირმების კლასიფიკაციისას გამოყოფენ შრომატევად, კაპიტალტევად, მასალატევად და მეცნიერებადტევად საწარმოებს.

სამართლებრივი სტატუსის მიხედვით ფირმების დაყოფა კი ჩვენთვის უკვეცნობილია.

საქსტატის ახალი მეთოდოლოგიით მცირე ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს; საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა

საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ ლარამდე; მსხვილ საწარმოებში მოიაზრება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

მცირე და დიდი საწარმოები ერთმანეთისგან მხოლოდ სიდიდით არ განსხვავდებიან. ისინი სხვადასხვანაირ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ბაზართან. კერძოდ, მცირე საწარმო ძლიერ არის დამოკიდებული ბაზარზე ჩამოყალიბებულ სიტუაციაზე და თითქმის არ ძალუბს მისი შეცვლა, რადგანაც მცირე ფირმათაგან თითოედს ამისათვის არასაკმარისი სახსრები გააჩნია. პოლიტიკურ ცხოვრებაში კი მათ მიერ საკუთარი ინტერესების ლობირება მსხვილ ფირმებთან შედარებით დაბალეფექტიანია. ამავდროულად, მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას, ერთობ მგრძნობიარეა კონკურენციისა და მომხმარებელთა მოთხოვნის მიმართ, ასევე, გვევლინება მეწარმეობის ერთგვარ ინკუბატორად. როგორც ადმიანი არ იბადება იმთავითვე დიდი, ისე ბიზნესი, როგორც წესი, იბადება ჯერ პატარა და მერე იზრდება. ადნიშნულის გამო, უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფო ეხმარება მცირე ბიზნესს ზრდა-განვითარებაში. მცირე ბიზნესს, მცირე კაპიტალის გამო, „პოლიტიკაში პატარა ხმა აქვს“.

დიდი საწარმო, საკუთარი დიდმალი რესურსების გამო, ნაკლებადაა დამოკიდებული საბაზრო კონკურენციაზე. მეტიც, მსხვილ კომპანიათაგან ძალიან ბევრს, დიდი საბაზრო წილის გამო, შეუძლია ბაზარზე ზეგავლენის მოხდენა, ვთქვათ, ფასწარმოქმნაზე. მაგალითად, რესერტის ფირმის – „ნორილსკი ნიკელი“ – მიერ ნიკელზე ფასების შემცირება ან ზრდა, მთლიანად ცვლის სიტუაციას ნიკელის მსოფლიო ბაზარზე. ბაზარზე ზეგავლენის ამგვარი შესაძლებლობა, მსხვილ კომპანიებს უბიძგებს მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვებისაკენ, რის გამოც სუსტდება ბაზრის მამოძრავებელი და საფუძველი – კონკურენცია. ამავდროულად, მსხვილ კომპანიებს დიდი წვლილი შეაქვთ მრავალი საქონლის, განსაკუთრებით რთული, მეცნიერებატევადი და კაპიტალტევადი საქონლის წარმოებაში. აქედან გამომდინარე, მსხვილი კომპანიებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება ორადია: ერთი მხრივ, სახელმწიფო მათ ზღუდავს ანტიმონოპოლიური პოლიტიკით, და, მეორეს მხრივ, ეხმარება მათ, როგორც მეცნიერებატევად და კაპიტალტევადი დარგების დედაბოძს. დიდ ბიზნესს, დიდი კაპიტალის გამო, „პოლიტიკაშიც დიდი ხმა აქვს“.

ახლა კი უფრო კონკრეტულად მცირე ბიზნესის შესახებ.

## 6. 2. მცირე საწარმო, ფრანჩაიზი და ვენჩერული ფირმა

მცირე ბიზნესი არის მცირე საწარმოების ერთობლიობაა, რომელსაც შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებით შეუძლია სწრაფად გაზარდოს

**მკონომიკაში** საქონელმწარმობელთა რაოდენობა და ოპერატიულად დააკაყოფილოს საქონელზე და მოსახურებაზე მოსახლეობის გაზრდილი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი. სწორედ ამიტომ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველაზე რეალური და ეფექტური საშუალებაა მცირე ბიზნესის ფართოდ გაშლა-განვითარება.

მცირე ბიზნესი ჩაისახა 40 საუკუნის წინათ ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. მცირე ბიზნესი ყვაოდა თითქმის ყველა უმველესი კულტურის ქვეყანაში. ამ მიმართებით გამოირჩეოდნენ არაბები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, ბერძნები და სხვანი. მცირე ბიზნესი, თუმც ძირითად როლს ასრულებდა ცივილიზაციის გავრცელებაში, იგი არასოდეს დაუფლებია საზოგადოებრივ ცნობიერებას. ახლა კი სულ უფრო ხდება მცირე ბისნესის აღიარება ეკონომიკის შემოქმედებით ძალად. მცირე ბზნესი თანამედროვე საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

სხვათა შორის, ისტორიულად საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში სწორედ მცირე ბიზნესმა შეიტანა დიდი წვლილი. როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესი ჩაისახა და განვითარდა აშშ-ი, რაც ევროპიდან ემიგრაციის დიდ ტალღასთან იყო დაკავშირებული. აუთვისებელ ტერიტორიებზე ემიგრანტებს ესაჭიროებოდათ საქონელი და მომსახურება. ასე გაჩნდა პირველი ოჯახური ფურნეები, სახელოსნოები, მაღაზიები, სასადილოები, სამრეცხაოები და სხვა. ამიტომ, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე მეწარმეობას ანუ მცირე ბიზნესს. მცირე საწარმოების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ, შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი, შეუძლიათ მოქებნონ და დაიკავონ ნიშა და იმუშაონ მომგებიანად. მცირე ბიზნესის უპირატესობაა მოქნილობა და საბზრო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირება.

**უფრო კონკრეტულად, მცირე საწარმოები თავიანთი ფუნქციებით ხელს უწყობეს:**

**ჯერ ერთი,** გაუმართდებლად გამსხვილებული საწარმოების დეკონცენტრაციას, მონოპოლიების დემონპოლიზაციას, პრივატიზებას და ამ გზით დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელთა გამრავლებას, ანუ საბაზრო, კონკურენტულ ურთიერთობაზე გადასვლას;

**მეორე,** კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოვლენისათვის ფართო ასპარეზის შექმნას. სიახლის გამოცდას და ახალი საქონლის გამოშვებაზე გადასვლას;

**მესამე,** მომსმარებლის მოთხოვნილებისადმი ოპერატიულ რეაგირებას და მის შესაბამისად ეკონომიკური სტრუქტურის, ტექნოლოგიის, მართვის ფორმების და ა. შ. გარდაქმნას ანუ სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციას;

**მეოთხე,** ახალი სამუშაო ადგილების, კარიერის შექმნას და შრომითი რესურსების დასაქმებას;

**მეხუთე,** მსხვილი კომპანიების მომსახურებას. ვთქვათ, თბილისის ავიამშენებელი კომპანიის საწარმოო ნარჩენებით საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოება;

მექანიზმის უფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის სამეურნეო საფუძვლების განმტკიცებას და თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რადგანაც ისინი, უპირატესად, ადგილობრივი რესურსებით და ადგილობრივი ბაზრისთვის საქმიანობებს;

მეშვიდე, ქვეყანაში საშუალო კლასის ფორმირებას, რომელიც არის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სიღარიბის დაძლევის, სტაბილიზაციის გარანტი;

მერვე, ემანსიპაციისა გამო მცირე ბიზნესში ქალთა ჩაბმას.

ხაზგასასმელია, რომ მცირე ბიზნესს აქვს გარკვეული სუსტი მხარეებიც. ესაა:

- წარუმატებლობის მაღალი მაჩვენებელი. მცირე ფირმები უფრო სწრაფად იბადებიან, მაგრამ ასევე სწრაფად კოტრდებიან. მაგალითად, რუსეთში მცირე ბიზნესის გასვლის კოეფიციენტი (იმ ფირმების წილი, რომლებმაც თავიანთი არსებობა შეწყვიტეს ერთ წელიწადში) შეადგენს 8%-ს, მოლიანად ეკონომიკაში კი – 1 %-ს. აღნიშნული წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი საწარმოს შექმნის სიადვილეა, ხოლო შედეგი – ცუდი მართვა. ფაქტიურად საკუთარი საქმის დამოუკიდებლად ორგანიზება ბევრად იოლია, ვიდრე თავისუფლი სამუშაო ადგილის მოძიება. ამიტომ მცირე ბიზნესში ხშირად შემთხვევითი, სათანადოდ მოუმზადებელი ადამიანები ხვდებიან.
- მმართველური გამოცდილების უქონლობა. ხშირად მცირე საწარმოები განიცდიან წარუმატებლობას იმის გამო, რომ ვერ ართმევენ თავს გაზრდილ მმართველურ მოთხოვნებს. ერთია–ათმუშაკიანი მაღაზიის მართვა და სრულიად განსხვავებული რამაა – ასკაციანი მაღაზიის ხელმძღვანელობა. ათმუშაკიანი მაღაზიის შემთხვევაში მეწარმენი ახორციელებენ ვიზუალურ კონტროლს მათ განკარგულებაში არსებულ ყველაზე და ყველაფერზე.

მაგრამ, როგორც კი იზრდება საწარმო ასკაციან კოლექტივამდე, საჭირო ხდება მეწარმეთა გადასვლა საქმის დაგემვისა და კონტროლის შედარებით რთულ სისტემაზე. სამწუხაროდ, ხშირად მათ არ ჰყოფნით მმართველური ოსტატობა საწარმოს გადარჩენისა და განვითარებისათვის აუცილებელი ტალანტიანი ადამიანების გამოვლენისა და დაქირავებისათვის.

მათგან განსხვავებით მსხვილი კორპორაციის პრეზიდენტები უფრო ხშირად პროფესიონალი ხელმძღვანელები არიან. ისინი ოსტატურად ფლობენ რა მართვის საუკეთესო და თანამედროვე საშუალებებს, უნარიანად დირიქტორებენ ათობით მცოდნე ადამიანის ტალანტს კომპანიის პრობლემების გადაჭრისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის;

- მცირე ბიზნესის კიდევ ერთი სუსტი მხარეა მასში ერუგნულ უმცირესობათა სუსტი წარმომადგენლობა. წარმატების მოთხოვნილება არსებობს ყველა ეთნიკურ ჯგუფებში, მაგრამ მეწარმეობის ფორმით ხორციელდება, უწინარეს ყოვლისა, იმ ჯგუფებში, სადაც არსებობს მეწარმეობის ტრადიციები. მაგალითად, სომხები, ებრაელები და ბერძნები

ხშირად ხდებიან მეწარმენი. იმიტომ, რომ მცირე ბიზნესისადმი ინტერესი დიდწილად მამა-პაპიდან მემკვიდრებით მოსდევთ, მათ სამეწარმეო სული სისხლში და ხორცში აქვთ გამჯდარი. ამგვარ სიტუაციას იშვიათად ვხვდებით ეროვნულ უმცირესობათა უმრავლესობაში (მხოლოდ აზიური წარმომავლობის ამერიკელები არიან გამონაკლისი). ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენელთა მნიშვნელოვან ნაწილს ჩვეულებად აქვს გამოიყენოს თავის ენერგია არა სამუშაოს მიმცემის, არამედ დაქირავებული სამუშაო ძალის როლში. ზანგებს და ლათინოამერიკელებს მეწარმეობის მცირე მაგალითები აქვთ ახლო ნათესავებს შორის, ვიდრე აზიური წარმომავლობის ამერიკელებს, ან თეთრკანიანებს. აზიური წარმომავლობის ამერიკელები ურო მეტად, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, არიან დამოკიდებული მეგობრებზე და ნათესავებზე საკუთარი საქმის დაწყებისათვის სესხის აღებასთან დაკავშირებით.

ეროვნულ უმცირესობებში მეწარმეთა მცირე რიცხოვნების კიდევ ერთი მიზეზია საზოგადოებაში წინასწარ შექმნილი ცუდი აზრი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეროვნული უმცირესობათა წარმომადგელებს არ ჰქონდათ სამეწარმეო შესაძლებლობებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება. თუმცა, დროთა ვითარებაში ეს წინააღმდეგობანი სულ უფრო მცირდება, ბიზნესის სამყაროში ქალთა როლის კარდინალური ცვლილების მსგავსად. ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით ანალოგიურ ცვლილებებს ექნება ადგილი, ალბათ, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. აშშ-ს როგორც ფედერალური მთავრობა, ისე ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებები ძალისხმევას არ იშურებენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის მეწარმეობის სტიმულირებისათვის. ადგილობრივი კოლეჯები გახდნენ პიონერები საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა, რათა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ხელი შეეწყოთ შეუერთდნენ ქვეყნის ძირითად სამეწარმეო ნაკადს. ეროვნულ უმცირესობათა ბევრი წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო ხარისხი, ალბათ, წარსულისაგან განსხვავებით დაიწყებს საკუთარი საქმის გახსნას.

სწორედ ჩამოთვლილი დირსებების უპირატესობის გამოა, რომ აშშ-ის მარტო მრეწველობაში მოქმედებს 2 მილიონი მცირე საწარმო. ისინი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით ნახევარს აწარმოებენ. ის, რომ იაპონია თავისი ეკონომიკური განვითარების დონით მეორე ადგილზეა მსოფლიოში, მცირე და საშუალო საწარმოებს უნდა უმადლოდეს. აქ საყოველთაოდ ცნობილი მსხვილი კონცერნები ეროვნული ეკონომიკის აისბერგების მხოლოდ მწვერვალებს წარმოადგენენ, საფუძველი წვრილი და საშუალო საწარმოებია. მათზე მოდის რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 53%, საბითუმო ვაჭრობის 60% და საცალო ვაჭრობის 80%-ზე მეტი.

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ვინაიდან კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგების ძირითადი სტრუქტურული ერთეულები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია და საქართველოსთვის კი ეს დარგები ტრადიციულია,

ამდენად, მცირე ბიზნესი საქართველოში მცირე პრივატიზების საუკეთესო საშუალებად უნდა მოგვევლინოს. კერძოდ, მსუბუქ მრეწველობაში მიზანშეწონილია გაკერძოვდეს საწარმოთა დაახლოებით 70%, ხოლო კვების მრეწველობაში - 60%. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე 15 მცირე საწარმოა. ეს მაშინ, როდესაც განვითარებულ ქაუნებში ყოველ 30-50 კაცზე და ზოგგან 15-ზეც ერთი მცირე საწარმო მოდის.

როგორც დაკვირვებები გვიჩვენებენ, მცირე საწარმო, ზოგს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად მიაჩნია. ამიტომაც დღეს ბევრი აცხადებს, რომ მათ შექმნეს მცირე საწარმო. როგორც ჩანს, ასეთ პირებს სადამფუძნებლო დოკუმენტების გადაფორმება მოუწევთ ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით. შევნიშნავთ, რომ სიტყვა „მცირე“ ახასიათებს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს მხოლოდ სიდიდეს; მცირე შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოებაც და კოოპერაციიც, სახელმწიფოებრივიცა და ინდივიდუალური საწარმოც.

**ფრანჩაიზი.** მსოფლიოში მცირე ბიზნესის წამოწყებისა და ფართოდ გავრცელების საუკეთესო ფორმაა **ფრანჩაიზი.** ამ უკანასკნელის დროს დამწყები მეწარმე ცნობილი და მსხვილი კომპანიისგან (ფრანჩაიზერისგან) ნულიდან მილიონ დოლარამდე იძენს ფრანჩაიზს (ლიცენზიას), რომელიც მას უფლებას ანიჭებს გამოიყენოს სათაო საწარმოს (ფრანჩაიზერის) მდიდარი გამოცდილება, საფირმო სახელი, ბრენდი და ამით სტარტჲევე მკვეთრად გაზარდოს შემოსავლები და შეამციროს რისკი. აღნიშნულის გამო, როგორც ამას აშშ-ის გამოცდილება ცხადყოფს, იმ ფირმებს შორის გაკოტრება, რომლებიც ფრანჩაიზინგს იყენებენ ბევრად ნაკლებია. ფრანჩაიზინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამერიკის ეკონომიკაში და მალე შეიძლება საცალო ვაჭრობაში გაბატონებული ფორმა გახდეს. მას, ასევე, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მომსახურების სფეროში და შედარეგით მცირეა მის როლი წარმოებაში.

ფრანჩაიზინგი უგავის იმიტომ, რომ მასში შეთანაწყობილია პირადი მფლობელობის მძლავრი სტიმული მსხვილი ბიზნესის მმართველურ და ტექნიკურ ოსტატობასთან. ფრანჩაიზინგი მეწარმეებს სთავაზობს ზრდის მოკლე გზას, რამდენადაც ისინი დებულობენ მზა საქმეს. ფრანჩაიზერისათვის ფრანჩაიზინგი იძლევა სწრაფი გაფართოების შესაძლებლობას, რადგანაც მათ საშუალება ეძლევათ საკუთარი ზრდა ფრანჩაიზის გაყიდვის ხარჯზე დაფინანსონ.

ფრანჩაიზინგი (იხმარება, აგრეთვე, ფრენშაიზინგი) დამწყებ მეწარმეებს რიგ უპირატესობებს ანიჭებს. კერძოდ, წვრილი მეწარმეები, რომელთაც არ გააჩნიათ დამატებითი ფულადი საშუალებანი და სათანადო გამოცდილება, მსხვილი ფირმების (ფრანჩაიზერების) ეგიდის ქვეშ ახდენენ კრედიტის მიღებას, ნაკლები დანახარჯებით საკუთარი საქმის მოწყობას, ეზოგებათ სახსრები რეკლამაზე, ორგანიზაციულ და სხვა საკითხებზე, რადგანაც მათ დიდ ნაწილს საცუთარ თავზე იღებს სათაო საწარმო (ფრანჩაიზერი); ფრანჩაიზერი უცხოეთის ბაზარზე მოგებას იღებს პირდაპირი ფინანსური ინვესტიციების გარეშე. მომხმარებლისთვის კარგად ცნობილი სავაჭრო მარკა მცირე საწარმოებს საშუალებას აძლევს დამკვიდრდნენ იმ ბაზარზე, სადაც სხვა პირობებში არც ისე დიდ და დამოუკიდებელ ფირმებს შეღწევა-დამკვიდრება გაუჭირდებოდათ. ისინი უფასოდ იღებენ

საქმის წარმართვის რჩევებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ფრანგიზის გაერცელების ტემპები აშშ-ი 5-ჯერ აღემატება მშპ-ის ზრდის ტემპებს. ფრანგიზის მთავარი ნაკლოვანება ისაა, რომ ფრანგიზი ფრანგიზე „მიბმული“, კერძოდ, მან ფრანგიზე ისგან სოლიდურ ფასად უნდა შეიძინოს საქმიანობის ლიცენზია (მაგალითად, „მაგდონალდსის“ ლიცენზია ოც წლიანი კონტრაქტით დირს 400 000 დოლარი).

საქართველოში ფრანგიზული სისტემის განვითარების შესაძლებლობანი დიდია. როგორც ჩანს, უახლოეს წლებში იგი ისეთსავე განვითარებას პპოვებს, როგორც სხვა ქვეყნებში. საქართველოში ფრანგიზის მაგალითია ფირმა „მაკ-დონალდსის“ რესტორანი, „კოკა-კოლა“ და სხვა.

**გენერული ფირმა.** მცირე ბიზნესის საწარმოების სახესხვაობაა გენერული ფირმა, რომელიც მისდევს ნოვატორულ წამოწყებათა რეალიზაციას - ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, პროდუქციის ახალ სახეობათა გამოშვებას, ახალი სახეობის მომსახურების გაწევას. როგორც წესი, ისინი მსხვილი ფირმების დაკვეთით მოქმედებენ.

ბიზნესის ეფექტიანი ორგანიზების ერთ-ერთი წინაპირობაა საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე თრგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სწორად შერჩევა. ამისათვის კი კარგად უნდა ერკვეოდეთ ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ღირსება— ნაკლოვანებებში

**ნაწილი მეორე გვ. 191-214; გვ.  
387-390.**

### 6. 3. მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

როგორც დამწყები, ისე მოქმედი მეწარმისათვის აუცილებაელია „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა“ და, აგრეთვე, ყველა იმ კანონების ცოდნა, რომლებიც აწესრიგებენ და არეგულირებენ მთლიანად სამეწარმეო საქმიანობას. „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდეს შემდეგი ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის საწარმოები:

1. ინდივიდუალური საწარმო (ის). საქართველოში ამ ფორმაზე მოდის საწარმოთა 47,6%;
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს). ამ ფორმაზე მოდის - 3,2%;
3. კომანდიტური საზოგადოება (კს). ამ ფორმით ჩამოყალიბებულია საწარმოთა 0,3%;

4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). ეს ფორმა შეადგენს - 30,7%-ს;

5. აქციონერული საზოგადოება (ას) ანუ სააქციო საზოგადოება. ეს ფორმა წარმოდგენილია 2,4%-ით;

6. კოპერატივი (კ). ამ უკანასკნელზე მოდის საწარმოთა 1,2%.

ჩამოთვლილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამაერთიანებელი განმაზოგადებელი ტერმინია **ფირმა**. ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, საბაზო ეკონომიკის ძირითადი ეკონომიკური აგენტია.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთში ყველა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა წინამორბედში არსებული წინააღმდეგობების გადაჭრის მიზნით (დამატებითი სახსრების მოზიდვა და რისკის შემცირება) ეტაპობრივად იქმნებოდა და შესაბამისად ცალ-ცალკე კანონი შემუშავდებოდა. საქართველოში კი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ერთ – „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონშია“ მოქცეული.

### ინდივიდუალური საწარმო

დასაწყისში შევჩერდით ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და საბაზისო ფორმაზე - ინდივიდუალურ საწარმოზე, რომელიც ეკუთვნის მოქალაქეს ან მისი ოჯახის წევრებს (წილობრივი ან ერთობლივი) საკუთრებისა და მართვის უფლებით. სხვაგვარად, ინდივიდუალურ საწარმოში მეპატრონე და მმართველი ერთი და იგივე პირია. ე.ი. (ის)-ს ერთი ფლობს და ერთი მართავს. ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რაც იმას ნიშნავს რომ დამფუძნებლის სამეწარმეო ქონება არ არის გამოცალკევებული მისი პირადი ქონებისაგან. ე.ი. იგი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს არა მარტო სამეწარმეო აქტივებით, არამედ პირადი ქონებითაც ( იმ ქონების გარდა, რომელზედაც კანონის თანახმად არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა). დაგუშვათ, თქვენ, როგორც ფიზიკურმა პირმა, გახსენით პურის საცხობი. არ არის გამორიცხული, რომ თქვენი ბიზნესი წარუმატებელი აღმოჩნდეს ანუ მოლიანმა დანახარჯმა გადამეტოს პურის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს. თუ ეს სხვაობა დიდია, მაშინ შესაძლებელია იგი გადახდის უუნაროდ შეფასდეს და გაკოტრბულად გამოცხადდეს. ამ შემთხვევაში თქვენ იძულებული იქნებით ნადდი ფული გადაუხადოთ მევალესუწინარეს ყოვლისა, თქვენ მოგიხდებათ, ალბათ, პურის საცხობის გაყიდვა. მაგრამ ამოღებული ფული თუ საკმარისი არ აღმოჩნდება ვალის დასაფარავად, მაშინ თქვენ იძულებული იქნებით ვალი პირადი აქტივების (ავტომანქანა, ბინა, ძვირფასეულობა და სხვა) გაყიდვით დაფაროთ.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის ინდივიდუალურ მეწარმეს უნდა გააჩნდეს სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საბუღალტრო და საკასო საქმე. საწარმოს, გარდა კოპერატივისა, არ შეიძლება ჰყავდეს ორმოცდაათზე მეტი პარტნიორი, წინააღმდეგ შემთხვევაში

აუცილებელია საწარმო ჩამოყალიბდეს მხოლოდ როგორც აქციონერული საზოგადოება. ინდივიდუალურ საწარმოს აქვს საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი მესაკუთრის გვარი. მაგ. ფირმა („ ბონდო ლებანიძე ი.ს.“).

ადსანიშნავია, რომ ინდივიდუალური საწარმოს მესაკუთრე მთელ შემოსავალს ხარჯებისა და გადასახადების გამოკლების შემდეგ (იგი იხდის არა მოგებიდან, არამედ საშემოსავლო გადასახადს) თავისთვის იტოვებს და პიზნებითან დაკავშირებულ ყველა რისკს თავად ეწევა. ე.ი. მეწარმე გაითავისებს მთლიანად როგორც მოგებას, ისე ზარალს. (ის)-ში მესაკუთრენი, როგორც წესი, გენერალური მენეჯერებიც არიან. ეს ფორმა ყველაზე გავრცელებული, ძველი და მარტივია.

(ის)-ს როგორც ლირსებები, ისე ნაკლოვანებები მისი ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარეობს. **დასაწყისში შევჩერდით მის ლირსებებზე:**

- **იოლია მისი მოწყობა-ორგანიზაცია.** რეგისტრაციისთვის საკმარისია განცხადება საგადასახადო ორგანოს სახელზე ნოტარიუსით დამოწმებული;
- **მაქსიმალური თავისუფლება:** ერთპიროვნული მფლობელობის გამო გადაწყვეტილების მიღებისას არ დაგჭირდებათ მიმართოთ დირექტორთა საბჭოს, ან მიაღწიოთ შეთანხმებას პარტნიორებთან. ეს ფორმა კარგად ერგება მკეთრად გამოხატული ინდივიდუალისტური თვისებების მქონე ადამიანებს. ქართველი კაცი ბუნებით ინდივიდუალისტია, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დღეს საქართველოში 120 ათასზე მეტი (ის)-ა;
- **საქმიანობის საწყის ეტაპზე მოგება ჩვეულებრივ მცირეა.** ამ მიმართულებითაც (ის) მისაღებია, ვინაიდან მთელი მოგება თქვენ გრჩებათ და არავის უნაწილებთ;
- **ინდივიდუალური საწარმო ფირმის საიდუმლოებების დაცვის გარანტია.** რადგან საქმის წარმატებების საიდუმლოებანი მხოლოდ მისმა მეპატრონებმ იცის;
- **ამ სახეობაში მცირეა, ასევე, საორგანიზაციო ხარჯები.** შესაძლებელია საგადასახადო შედაგათები. არ არსებობს ორმაგი დაბეგვრა;
- **ინდივიდუალური საწარმო ერთობ მოქნილი და მობილურია.** მას ბაზარზე მოთხოვნების გათვალისწინებით სწრაფად შეუძლია შეცვალოს სამეურნეო ქცევა.

როგორც ყველა მოვლენას, (ის)-საც გააჩნია ნაკლოვანებანი, სახელდობრ:

• **არსებობს სიძნელეები დიდი კაპიტალის მოზიდვაში, ვინაიდან (ის)-ში დაბანდებული კაპიტალი შედგება პირადი და ოჯახის წევრების სახსრებისაგან;**

• **საქმიანობის ხანგრძლივობის გაურკვევლობა.** (ის)-ს საქმიანობა იურიდიულად მისი მფლობელის სიკვდილის, დაპატიმრების, გაოტრების ან ფსიქიკური დავადების შემთხვევაში მთავრდება თუ

ბიზნესი აგებული იყო მისი მფლობელის ტალანტის და კვალიფიკაციაზე;

• ვალების დაფარვაზე განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა. ეს ნიშანი, ერთი მხრივ, ინდივიდუალური მეწარმის უპირატესობას წარმოადგენს, რადგან კრედიტორები საკმაოდ ხალისით აძლევენ ფულს იმ ბიზნესმენებს, ვისი პირადი ქონებაც საწარმოს წარუმატებლობის შემთხვევაში ვალის გადახდის გარანტს წარმოადგენს, მაგრამ, მეორე მხრივ, წარუმატებლობის შემთხვევაში ერთპიროვნულმა მეწარმემ მთელი თავისი პირადი დანაზოგი და ქონება შეიძლება დაკარგოს. ეს რისკი მეწარმეს აშინებს და ინდივიდუალური საწარმოდან სხვა ფორმაზე (სადაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია, შეზღუდულია) გადასვლისაკენ უბიძებს;

• მმართველური პროფესიონალიზმის უკმარისობა. (ის)-ში მეწარმე თვითონ არის გენერალური მენეჯერი, ანუ თავად უძღვება მენეჯმენტის ყველა სახეს: წარმოებას, მომარაგება-გასაღებას, რეკლამას, ფინანსებს, კადრების საქმეს და ა.შ. ცხადია, ყველას არ გააჩნია ჩამოთვლილ დარგებში პროფესიული ცოდნა. არადა, თუნდაც ერთი დარგის უცოდინარობა აუარესებს საბოლოო შედეგს. (ის)-ში პროფესიონალი მმართველის დაქირავება გაძნელებულია, რადგან შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებს არა აქვთ მისწრაფება იმუშაონ თავისი წინსვლისა და განვითარების, შრომის ანაზღაურების შემზღვდავ გარემოში;

• რესურსების მცირე პარტიობით შეძენის გამო შედარებით მაღალია მათზე ფასები. წარმოების მასშტაბების ზრდის შეუძლებლობის გამო, ასევე შეზღუდულია რესურსების ეკონომიურად გამოყენება. ყველაფერი ეს ზრდის ინდივიდუალური მეწარმის წარმოების ხარჯებს და ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას.

ამგვარად, ინდივიდუალური საწარმო შეგიძლიათ შეარჩიოთ იმ შემთხვევაში, თუ:

- თქვენს პოტენციურ ბიზნესს არ სჭირდება დიდი კაპიტალი;
- საწარმო შეიძლება მართოს ერთმა პიროვნებამ ან ოჯახმა;
- საწარმო ამოცანების გადაწყვეტას არ სჭირდება კოლექტიური ძალისხმევა;
- არ გსურთ მოგება სხვასაც გაუნაწილოთ.

### სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ხაზგასასმელია, რომ (ის) განსაკუთრებით მიმზიდველია ბიზნესის საწყის ეტაპზე, როდესაც მალზე მნიშვნელოვანია მოქნილობა, ოპერატიულობა, გულმოდგინე მუშაობა და საქმისადმი გამუდმებული პირადი ყურადღება. შემდგომში

კი, თუ აპირებთ საქმის საგრძნობ გაფართოებას, მიზანშეწონილია მიმართოთ მეწარმეობის პარტნიორულ და კორპორაციულ ფორმებს.

ასე, მაგალითად, ინდივიდუალური მეწარმის წინაშე მდგარი რესურსების შეზღუდულობის, მმართველური უქმარისობისა და მაღალი რისკის პრობლემა გარკვეულწილად, შეგიძლიათ გადაჭრათ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) ჩამოყალიბებით. სპს (ის)-გან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მას აყალიბებს ორი (ან მეტი) პირი. სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არა ერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებნ როგორც სოლიდარული მოგალებები—უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუძლებავად მთელი თავისი ქონებით. მისი პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. სპს-ის ხელმძღვანელობის უფლუბა აქვს ყველა პარტნიორს, საზოგადოების დავალებით და სახელით.

სპს-ის მიერ მიღებული მოგებიდან კი არ გადაიხდება გადასახადი, არამედ ცალკეული წევრი იხდის მიღებული შემოსავლიდან, წილიდან გადასახადს.

**რა მოთხოვნები წაეყენება სპს-ს:** საზოგადოების წესდება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და დამოწმდეს სანოტარო წესით. საზოგადოების დაფუძნებისას წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების დამფუძნებელი მონაწილენი – დამფუძნებელი პარტნიორები. ხელმოწერა შესაძლებელია რწმუნებულის მეშვეობითაც სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. სპს –ში პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები და მინიმუმ ორნი. სპს-ს უნდა ჰქონდეს დასახელება, სადაც საჭიროა მიეთითოს საზოგადოებიდან თუნდაც ერთის გგარი. მაგ: ფირმა „გიგი ჩხეიძე სპს“). სპს-ში პარტნიორები ვალების დაფარვისას პასუხს აგებენ არა მარტო საზოგადოების ერთობლივი ქონებით, არამედ მათი უკმარისობის შემთხვევაში პირადი ქონებითაც. ამასთან, კრედიტორი უფლებამოსილია, ვალის გადახდა მოსთხოვოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს ან ყველა პარტნიორს ერთად. ხოლო ის, ვინც ფარავს საზოგადოების ვალს, იძენს რეგრესის უფლებას, ანუ უფლებას უკან მოითხოვს პარტნიორი-თანამოვალებისგან ის თანხა, რომელიც მან მათ მაგივრად გადაუხადა მევალეს. მაგალითად, გიგა, უჩა და ქეთევანი სპს-ის თანამესაკუთრენი არიან. პარტნიორული შეთანხმების საფუძველზე, გიგას და უჩას ცალ-ცალკე შემოსავლის 40% მიქონდათ, დანარჩენი 20% კი ქეთევანის წილი იყო. წინა თვეში ფირმა გაკოტრდა. სამეწარმეო ქონების გაყიდვის შემდეგ ფირმას კრედიტორების ვალი მაინც დაედო 10000 ლარი. ვინაიდან გიგას და უჩას პირადი ქონება არ გააჩნდათ, კრედიტორებმა მთელი ვალის გადახდა ქეთევანის პირად ანგარიშს დააკისრეს. მაშასადამე, თუ ინდივიდუალური მეწარმე მხოლოდ საკუთარ შეცდომებზეა პასუხისმგებელი, სპს-ში პასუხისმგებლობა პარტნიორთა შეცდომებზეც კრცელდება, ანუ პასუხისმგებლობა სოლიდარულია: „ერთი ყველასათვის, ყველა - ერთისათვის“, რაც ზოგჯერ უთანხმოებას და კონფლიქტს იწვევს. კონფლიქტის საგანი ხდება, აგრეთვე, პარტნიორებს შორის მართვის ფუნქციების გადანაწილება, ლიდერობისთვის ბრძოლა. თუ სპს-ში მხოლოდ ორი წევრია, ერთის გასვლის შემდეგ ეს საწარმო ან ინდივიდუალურად უნდა გადაკეთდეს, ანდაც გაუქმდეს. ყველაფერი ეს აკნინებს საანალიზო ფორ-

მის ღირსებებს. ამიტომაცაა, რომ სას უმრავლეს ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) ყველაზე ნაკლებგავრცელებული ფორმაა.

### კომანდიტური საზოგადოება

პარტნიორული მეწარმეობის ნაირსახეობაა - კომანდიტური საზოგადოება (კს). (კს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას. იგი შედგება მინიმუმ ერთი ნამდვილი (კომპლემენტარი) და მინიმუმ ერთი მეპაიე (კომანდიტორი) წევრისაგან. მისი საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთი კომპლემენტარის გვარს. კომანდიტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი, მათ შორის სახელმწიფოც. კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. სწორედ ამიტომ მისი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეუზღუდულია (ე.ი. კრცელება, როგორც სამეწარმეო, ისე პირად ქონებაზე). (კს) -ის კომპლემენტარები საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდულიავად, მთელი თავისი ქონებით. კომანდიტს უფლება აქვს მოითხოვოს კუთვნილი მოგების მიღება და განახორციელოს კონტროლი საზოგადოების სქმიანობაზე, გაასხვისოს ან მემკვიდრეობით გადასცეს თავისი წილი, სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, გარდა წესდებით განსაზღვრული შემთხვევისა. კომანდიტი ზარალის მოზიარეა მხოლოდ თავისი წილი კაპიტალისა და ჯერ კიდევ გადაუხდელი შესატანის ოდენობით. (კს)-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ მხოლოდ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს). ე. ი. კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში.

### შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კორპორაციული მეწარმეობის სახეობაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). საზოგადოებას, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების (მევალების) წინაშე თავისი ქონებით, ხოლო საზოგადოების წევრთა პასუხისმგებლობა კაპიტალში მათი წილით შემოფარგლება შპს ეწოდება. ეს ის ფორმაა, სადაც ყოველ მონაწილეს საწესდებო კაპიტალში შეაქვს გარკვეული პაი. შემდგომ საზოგადოების ვალებზე მისი პასუხისმგებლობა შეზღუდულია მისი წილით. თავად საზოგადოება იურიდიული პირია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას სამეურნეო გამგებლობაში (საკუთრებაში) ან ოპერატორულ მართვაში აქვს დამფუძნებლების პირადი ქონებისაგან გამოცალკევებული ქონება და თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს ამ ქონებით. თითოეულ წევრს პაის შესაბამისად ეძლევა მოწმობა ან სერთიფიკატი, მაგრამ ამ მოწმობის გაყიდვა არ შეიძლება, რადგან იგი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. (შპს)-ის საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 200 ლარს უნდა შეადგენდეს. (შპს) შეიძლება დააარსოს ერთმა პირმაც. (შპს)-ს მართვის ორგანოებია: საერთო კრება, დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო. პასუხისმგებლობის შეზღუდულობის გამო ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულია.

### აქციონერული საზოგადოება

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მთავარ როლს აქციონერული საზოგადოებები თამაშობენ. აქციონერული საზოგადოება (ას) არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იგივე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. (ას)-ის საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 15 ათას ლარს უნდა შეადგენდეს. საწარმოო, რომელშიც 50-ზე მეტი პარტნიორია, ვალდებულია აქციონერთა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

აქციონერული საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს აქციონერული საზოგადოების ვალდებულებებზე. აქციონერები თავიანთი კუთვნილი აქციების ფარგლებში ეწევიან რისკს აქციონერული საზოგადოების საქმიანობისათვის. აქციონერული საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ იგი წარმოადგენს აქციონერულ საზოგადოებას. აქციონერული საზოგადოება არის საწარმო, რომელსაც ფლობენ მესაკუთრები (აქციონერები) და მართავენ მათ მიერ დაქირავებული პირები. მართალია, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა სტრუქტურაში (ას)-ის წილად სულ რაღაც 20-25% (საქართველოში 2,4%) მოდის, მაგრამ ისინი იძლევიან სამეურნეო ბრუნვის 80-90%-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ისმის კითხვა - რა არის აქციონერული საზოგადოება და რა განაპირობებს მის წამყვან როლს ეკონომიკაში.

**როგორც ითქვა, აქციონერული საზოგადოება არის ფორმა, რომელიც თავის საწესდებო კაპიტალს აქციების გამოშვებით და რეალიზაციით აყალიბებს. (აქცია არის საკუთრების ტიტული, რომელიც მოწმობს მისი მეპატრონის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში. აქცია (ჩვეულებრივი) მის მფლობელს ანიჭებს მესაკუთრის და მმართველის უფლება-მოსილებას: ა) აქციონერს უფლება აქცების მიიღოს საზოგადოების მოგებიდან წილი (დივიდენდი); ბ) საზოგადოების ლიკვიდაციის (დახურვის, გაუქმების) შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს დარჩენილი ქონების განაწილებაში; გ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში (თუ ფლობს აქციას ხმის უფლებით).**

მართალია, კორპორაცია (აქციონერული საზოგადოება) იურიდიულად აქციონერებს ეკუთვნის, მაგრამ მართვით ისინი ნაკლებად არიან დაკავებული. აქციონერთა მმართველური საქმიანობა ხშირად კორპორაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევით და სამეურნეო საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობით შემოიფარგლება. რეალური ხელისუფლება, მმართველთა (დირექტორთა) ხელშია თავმოყრილი. დირექტორებს ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს სამეთვალყურეო საბჭო. კორპორაციის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას სწორედ დირექტორები ეწევიან. ამის გამო მმართველებსა და აქციონერებს (მესაკუთრებს) შორის ზოგჯერ გარკვეული სირთულეები წარმოიშობა. მაგალითად, აქციონერები დაინტერესებული არიან მაქსიმალური დივიდენდების მიღებით, ეს მაშინ, როცა მენეჯერები ცდილობენ მათ შემცირებას და სამეურნეო ბრუნვაში წარმართვას. ამ წინააღმდეგობის გარკვეულწილად, დაძლევა შესაძლებელია სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის ინსტრუმენტებით, სახელმძღვანელო, მეთვალყურეთა (მესაკუთრეთა) საბჭოს მიერ ხელმძღვანელთა საქმიანობაზე კონტროლის დაწესებით ან მმართველთა მატერიალური წახალისებით, რათა მათ აქციონერთა ინტერესების შესაბამისად იმოქმედონ.

ახლა კი უფრო კონკრეტულად იმ დირსებების შესახებ, რომლებიც აქციონერულ საზოგადოებას მიმზიდველს ხდის და აპირობებს მის წამყვან როლს ეკონომიკაში:

- აქციონერული საზოგადოება ხელს უწყობს მსხვილი დამატებითი კაპიტალის მოზიდვას ინვესტორთა (აქციონერთა) პასუხისმგებლობის შეზღუდვის გამო;
- სახსრების მოზიდვა ხდება გამსესხებლის (კრედიტორის, ინვესტორის) და მსესხებლის (აქციონერთა საზოგადოების) მინიმალური რისკის პირობებში, რაც წაახალისებს მეწარმის ნოვატორულ აქტიურობას;
- აქციონერულ საზოგადოებაში მესაკუთრისა და მმართველის ფუნქციის გამიჯვნა, პროფესიული, თანამდებობრივი ზრდის და შრომის ანაზღაურების კარგი პირობები, ხელს უწყობს მაღალი რანგის მმართველების მოზიდვას და ამის ხარჯზე, წარმოების საერთო ეფექტიანობის ამაღლებას;
- (ას) სტაბილურად ფუნქციონირებადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ინდივიდუალურ საწარმოში მფლობელის სიკვდილი, როგორც უკვე ითქვა, იურიდიულად საწარმოს დაშლას იწვევს. აქციონერის სიკვდილის შემთხვევაში კი მისი აქციები უბრალოდ მემკვიდრეზე გადადის. რომელიმე აქციონერის გასვლა ან ფსიქიკური დაავადება, ასევე არ იწვევს კორპორაციის დახურვას. სწორედ ამიტომ (ას) უფრო მუდმივია და სტაბილურია.

აღნიშნულის გარდა, აქციონერულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებებიც, კერძოდ:

- მოცემული ფორმის ჩამოყალიბება და რეგისტრაცია დაკავშირებულია გარკვეულ ორგანიზაციულ სირთულეებთან და მნიშვნელოვან სახსრებთან.
- (ას)-ში ადგილი აქვს ორმაგ დაბეგვრას. (ას) მოგებიდან იხდის გადასახადს, ხოლო აქციონერი - მიღებული დივიდენდიდან;
- საქმიანობის მკაცრი რეგლამენტირება არა მარტო კანონმდებლობით, არამედ კორპორაციის წესდებითაც;
- აქციების ბევრი მეპატრონის ჩამოცილება სააქციო საზოგადოების მართვისაგან;
- სააქციონერო საზოგადოებაში აქციები განთავსებულია მრავალრიცხოვან მეპატრონებს შორის. ეს ერთმანეთისაგან მიჯნავს მესაკუთრისა და მმართველის ფუნქციას და ზოგჯერ წინააღმდეგობას წარმოშობს. მაგ.: აქციონერები დაინტერესებულნი არიან მაქსიმალური დივიდენდებით, მენეჯერები კი ცდილობენ მოგება ინვესტირებას მოახმარონ;
- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნების ვალებულება არა მარტო ასუსტებს (ას)-ის კონფედენციალურობას, არამედ მმართველებს უბიძებებს მოკლევადიანი მიზნების რეალიზაციისაკენ, აქციონერთა მოხსოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ და ამით ინვესტორთა მოზიდვისაკენ.

ინფორმაცია, რომელიც ეხმარება ინვესტორებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კონკურენტებისათვისაც. ამ მიზეზით ზოგი კორპორაცია თავის აქციებს ღია ბაზარზე არ ყიდის. ისინი დახურულ კორპორაციად დარჩენას ამჯობინებენ, რათა არ გამჟღვნდეს საიდუმლო ინფორმაცია.

### კოპერატივი

და ბოლოს, კოოპერატივი არის წევრთა შომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივის საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 ლარს. კოოპერატივის წევრის მინიმალური პას ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. ყოველი პას უნაშორდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება პქონდეს რამდენიმე პას. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით ისე, რომ კოოპერატივის წევრები ამ ვალდებულებებისათვის პასუხს არ აგებენ. კოოპერატივის მართვის ორგანოებია: საერთო კრება, გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო. კოოპერატივის საფირმო სახელწოდება უნდა მოიცავდეს მითითებას მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე და ერთ-ერთი პარტნიორის სახელსა და გვარს მაინც. კოოპერატივის რეგისტრაცია ხორციელდება მისი იურიდიული მისამართის მიხედვით არსებულ საგადახადო ორგანოში.

**ახლა კი გვინდა წარმოგიდგინოთ მეწარმეობის ორგანიზაციული ფორმების მახასიათებლები, რაც გაგვიადგილებს ჩვენთვის სასურველი ფორმის შერჩევას.**

	ინდივიდუალური საწარმო	პარტნიორობა	კორპორაცია
ჩამოყალიბების სირთულე	ჩამოყალიბების სიმარტივე და გაფორმების და ორგანიზაციის დაბალი ხარჯები.	იგივე დოკუმენტები, რაც საჭიროა ინდივიდუალური საწარმოსთვის, პლიუს მონაწილეებს შორის ხელშეკრულება.	მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას და მატერიალურ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია რიგი დოკუმენტების შექმნასთან და სამართლებრივ რეგულირებასთან.
კაპიტალის მობილიზაციის უნარი	შემოფარგლულია მესაკუთრის (მისი ოჯახის წევრების) დანაზოგის სიდიდით	მონაწილეთა დანაზოგების გაერთიანების საფუძველზე კაპიტალების მოზიდვის შესაძლებლობების გაფართოება.	ძალიან მაღალია, შესაძლოა დიდი კაპიტალის სწრაფი მობილიზება ფასიანი ქაღალდების ემსის გზით.
მესაკუთრის პასუხისმგებლობის მას-	შეუზღუდავი პასუხისმგებლობა პირადი ქონების ჩათვლით.	შეუზღუდულია ქუთვნილი ფასიანი ქაღალდების ღირებულებით.	

შტაბი		ვლით.	
მესაკუთრის მხრიდან კონტროლის ხარისხი	სრული მოქლეს საქმიანო- ბაზე.	დანაწილებულია მონაწილე- ებს შორის, რაც აზრთა სხვა- დასხვაობის და უთანხმოების მიზეზია.	კუთვნილი აქციების (წი- ლის) შესაბამისად.
არსებობის ხანგრძლივო- ბა	განსაზღვრულია მეპატრო- ნის სიცოცხლის ხან- გრძლივობით.	დამოკიდებულია პარტნიო- რებს შორის ხელშეკრულების პირობებზე.	არაა განსაზღვრული, შეწყვეტა შეიძლება მხო- ლოდ გაკოტრების შემ- თხვევაში.
დაბეგვრა	პირად შემოსავალზე საგა- დასახადო განაკვეთი.	იგივე, რაც ინდივიდუალურ საწარმოში.	ორმაგი დაბეგვრა.
ლიკვიდობა	დაბალი, არსებობს სირთუ- ლენი გაყიდვაში.	საქმაოდ დაბალი, არსებობს სიძნელენი წილის გაყიდვაში.	მაღალი.

განხილულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათაგან შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი, ოღონდ: ა) სპს, კს და კის შესაქმნელად აუცილებელია მინიმუმ ორი წევრი (ვინაიდან პირთა გაერთიანებაა); ბ) შპს-ის, ას-ის და კოოპერატივის დასაარსებლად საჭიროა შესაბამისად 200 ლარი გ) კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი; დ) შპს-ის დაარსება შეუძლია ერთ პირსაც.

მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის იურიდიული უფლების მოპოვებამდე მოგი-  
წევთ: სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადება, მათი სადამფუძნებლო კრება-  
ზე დამტკიცება, სანოტარო წესით დამოწმება და შემდეგ კი ადგილსამყოფელის  
მიხედვით საგადასახადო ორგანოში რეგისტრაცია.

#### 6.4. მეწარმე სუბიექტები და მათი რეგისტრაცია

მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე (იმ), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

აქედან, ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არიან იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოები (კომპანიები). ჩამოთვლილი ფორმათაგან

შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი, ოფონდ: а) სპს, ქს და კ-ის შესაქმნელად აუცილებელია მინიჭუმ თოი წევრი (ვინაიდან პირთა გაერთიანებაა); ბ) კომპლექსური შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი; გ) შპს-ის დაარსება შეუძლია ერთ პირსაც.

საწარმოს რეგისტრაციას გადამწყვეტი იურიდიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საწარმო სამართლებრივად მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ წარმოიშობა. ამჟამად ინდივიდუალური მეწარმეებისა და მეწარმე იურიდიული პირების რეგისტრაცია ხორციელდება არა საგადასახადო ორგანოს, არამედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – მარეგისტრირებელი ორგანოს) ნებისმიერი ტერიტორიული სამსახურის ან სახალხო ბანკის ნებისმიერი ფილიალის და სერვის ცენტრის მიერ. ინდივიდუალური მეწარმე რეგისტრაციისთვის წარუდგენს შემდეგი სახის დოკუმენტებს: 1)სარეგისტრაციო განცხადება; 2)პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3)რეგისტრაციისათვის მომსახურების საფასურის (მოსაკრებელის) გადახდის დოკუმენტი. ინდივიდუალური მეწარმე ერთი სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციისათვის იხდის მოსაკრებელს 20 ლარის ოდენობით, ხოლო განცხადების შეტანისთანავე რეგისტრაციისათვის – 50 ლარს.

კომპანიის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებია: 1)სარეგისტრაციო განცხადება; 2) საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუში, რომელიც უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიულად ან უნდა შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით; 3. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. იურიდიული პირის სტატუსის მეწარმე სუბიექტები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი ერთი სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციისათვის იხდიან მოსაკრებელს –100 ლარის ოდენობით, ხოლო განცხადების შეტანისთანავე რეგისრაციისათვის იხდიან მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით. საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის საგალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. სააქციო საზოგადოების რეგისტრაციისათვის კაპიტალის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა არ მოითხოვება

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში ან სახალხო ბანკის ნებისმიერ ფილიალსა და სერვის ცენტრში. კერძოდ, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიღებისათვის ერთი სამუშაო დღის ვადაში გადახდილი უნდა იქნას მოსაკრებელი –15 ლარის ოდენობით, ხოლო განცხადების შეტანისთანავე საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიღებისათვის – 50 ლარი.

### მიკრო და მცირე ბიზნესი

საქართველოს ახალი მეთოდოლოგიით მცირე ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა

არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ ლარამდე;

**მსხვილ საწარმოებში მოიაზრება** საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს;

„საქსტატის“ მეთოდოლოგიის პარალერულად, მეწარმეობის ლეგალიზაციისა და გააქტიურობისათვის 2018 წლის ბირველი ივლისიდან ამოქმედდა მცირე ბიზნესის დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი, რის შედეგადაც მცირე ბიზნესისთვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდა ხუთჯერ - 5%-იდან 1%-მდე, ხოლო მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა გაიზარდა ხუთჯერ 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე. მცირე მეწარმენი 1%-იან ბრუნვის გადასახადს გადაიხდიან თვის ბოლოს და არა წინასწარ, ე. წ. საავანსო რეჟიმში. მეწარმეები უზრუნველყოფილი არიან, აგრეთვე, გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვით, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯი.

მეწარმე ფიზიკური პირი უფლებამოსილია მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით მიმართოს შემოსავლების სამსახურს, რომელიც გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს. მცირე ბიზნესის სტატუსის მეწარმე ფიზიკური პირი ითვლება მცირედ და სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით იმ შემთხვევაში, თუ მისი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული წლიური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს. ამასთან, მცირე მეწარმე გადაცდება თუ არა წლიური ერთობლივი შემოსავალის 100 000 ლარიან ზღვარს, იხდის დღგ-ს, მაგრამ 500 000 ლარამდე წლიური ბრუნვის შემთვევაში, განსხვავებით ადრე მოქმედი საკანონმდებლო ნორმისაგან, ინარჩუნებს მცირე ბიზნესის მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსს და იხდის შეღავათიან 1%-იან ფიქსირებულ გადასახადს. 500 000 ლარზე ზევით წლიური ერთობლივი შემოსავალის შემთვევაში კი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირებისთვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე. მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ

პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა.

მიკრო მეწარმის სტატუსის მოსაპოვებლად, ფიზიკური პირი უფლებამოსილია მიმართოს შემოსავლების სამსახურს თუ იგი აკმაყოფილებს სამ მოთხოვნას: 1. საქმიანობას ეწევა დამოუკიდებლად და არ ყავს დაქირავებული მუშა-ხელი; 2. მისი ერთობლივი შემოსავალი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით არ აღემატება 30.000 ლარს; 3. მისი საქმიანობა არ ხვდება მთავრობის 415-ე დადგენილებით ჩამოთვლილ აკრძალული საქმიანობათა სიაში. მიკრო მეწარმის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რაც განაპირობებს მის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმში ყოფნას, კერძოდ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და სარეგისტრაციო გადასახდელს.

2018 წელს პროგრამა 20 აგვისტოდან ახალი პირობებით განახლდა. ცვლილებების შესაბამისად, საგრანტო თანხა ერთ მეწარმე სუბიექტზე 20 000 ლარამდე გაიზარდა და ასევე შესაძლებელია არსებული, 2015-2017 წლებში დაფინანსებული ბენეფიციარების (სტარტაპების) განმეორებით დაფინანსება. იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მათვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღებას. განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილიც – პროგრამის მოსარგებლის/მოსარგებლეთა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით მაშინ, როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. როგორც ითქვა, ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

ფირმის (საწარმოს) შექმნა, ფუნქციონირება და დახურვა არის მისი საციცოცხლო ციკლის ბუნებრივი ეტაპი. ფირმის დახურვა შეიძლება მოხდეს ნებაყოფილობით (მისი მესაკუთრეების გადაწყვეტილებით) და იძულებით (სხვა პირების მოთხოვნითა და სასამართლოს გადაწყვეტილებით).

### საზოგადოების წესდების არსი და მასში ასახული ელემენტები

საზოგადოების წესდება არის დოკუმენტი, რომელიც მუშავდება მისი დამფუძნებლის მიერ და მტკიცდება სადამფუძნებლო კრებაზე. საზოგადოების წესდება, ხატოვნად რომ ვთქვათ, საწარმოს კონსტიტუციაა, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ინდივიდუალური ძირითადი კანონია. რაკიდა წესდება მთავარი დოკუმენ-

ტია, ამდენად მას არ შეიძლება ისე, ფორმალურად მიშუდგეთ, როგორც წინათ. როცა იგი წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მასში, როგორც წესი, ერთ გვერდზე მიუთითებდნენ ხოლმე საწარმოს დასახელებას, მის დაქვემდებარებას, ადგილმდებარეობას, ხელმძღვანელს, საქმიანობის საგანს და მიზანს. დანარჩენზე უურადღება არ მახვილდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საწარმოს მთელი საქმიანობა მკაცრად რეგლამენტირებული იყო მოქმედი კანონმდებლობით. ყოველივე ამის გამო წესდება ფაქტიურად, საჭირო აღარ იყო.

საბაზო მეურნეობის პირობებში მდგომარეობა ძირეულად იცვლება: საწარმოები არიან დამოუკიდებელი, მათ ახასიათებს რიგი თავისებურებანი, რაც უთუოდ უნდა აისახოს წესდებაში. სწორედ ამიტომ, ამჟამად არ შეიძლება ფორმალურად მიუდგეთ უკვე ხესნებულ პუნქტებს.

არ უნდა დაზოგოთ ქადალდი წესდების დაწერისათვის. რაც უფრო სრულყოფილია წესდება, მით მკაფიოდ არის განსაზღვრული საზოგადოებისთვის მართვის ორგანოების საქმიანობის პირობები, უფლებები და სხვა მისდაგვარი. სრულყოფილი წესდებით კი იოლია მუშაობა, ნაკლებია კონფლიქტური სიტუაციები.

რა უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში? წესდება საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების გარდა უნდა შეიცავდეს, უწინარესყოვლისა, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, საწარმოს სახელწოდებას ანუ საფირმო სახელწოდებას, რომლითაც საქმიანობს საწარმო. ამ უკანასკნელზე გაამახვილეთ განსაკუთრებული უურადღება. საქმე ისაა, რომ საწარმოს სახელწოდება მიეკუთვნება სამრეწველო საკუთრების კატეგორიას. მაგალითად, რესპუბლიკის და დსტ-ს მასშტაბით ცნობილია ღვინის საწარმო „სამება“, რომელიც კარგახანია არსებობს და რეგისტრირებულია, როგორც შპს „სამება“ და აი, ასეთ შემთხვევაში, თუ ვინმეს მოესურვება შექმნას ღვინის საკუთარი საწარმო იგივე სახელწოდებით, მაშინ უკვე მოქმედ „სამებას“ უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ეს დასახლება არ მიენიჭოს მოცემულ საწარმოს და აქ არის ლოგიკა, რამეთუ ნაწარმი დამღით „სამება“ და მასთან დაკავშირებული ქარხნის პრესტიჟი კარგად არის ცნობილი საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

მაგალითად, შპს-ს საფირმო სახელწოდებად შეგიძლიათ გამოიყენოთ: ერთი ან რამდენიმე პარტნიორის სახელი (მაგ.: იურიდიული კომპანია „სააკაშვილი, კუპავა, ლებანიძე შპს“); სახელწოდება გამომდინარე საქმიანობის საგნიდან (მაგ.: „კოკა-კოლა შპს“); სახელწოდება, რომელიც წარმოადგენს ფანტაზიის ნაყოფს. სამივე შემთხვევაში სახელწოდება უნდა შეიცავდეს აღნიშვნას - „შპს“.

წესდებაში აუცილებელია მიეთითოს, აგრეთვე, საწარმოს ადგილმდებარეობა, ანუ ადგილი, სადაც მდებარეობს ოფისი (დირექცია ან სხვა მმართველი ორგანო). ზოგჯერ იყენებენ „იურიდიული მისამართის“ ცნებასაც. პრინციპში, ეს მოგონილია, რამეთუ კანონი ცნობს სახელდობრ ტერმინს, „ადგილმდებარეობას“, ცხადია, ადგილმდებარეობა უნდა იყოს კონკრეტული ადგილი, იგულისხმება, რომ საწარმოს უნდა გააჩნდეს გარკვეული შენობა კონკრეტული მისამართით. ფართის დეფიციტისა და სიძვირის გამო ზოგჯერ სეამენ კითხვას - შეიძლება თუ არა საწარმოს ადგილსამყოფელად გადავაქციოთ ბინა? კი, შეიძლება. კანონი ამას არ კრძალავს, მაგრამ იმან, ვინც გადაწყვეტს თავის ბინაზე შექმნას სა-

წარმოს შტაბ-ბინა (ოფისი), უნდა გაითვალისწინოს ერთი გარემოება: ამ შემთხვევაში იგი კარგავს ბინის ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებას. საფინანსო, სამართალდამცველ და სხვა ორგანოებს, რომელთაც უფლება აქვთ საწარმოს ორგანოების მუშაობის გაკონტროლებისა, შეუძლიათ ნებისმიერ დროს მივიღნენ ამ ოთახში საეციალური დადგენილების, კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილების გარეშე იმისათვის, რომ საწარმოს საქმიანობაზე განახორციელონ კონტროლი. ყველა ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები.

განსაკუთრებით აუცილებელია წესდებაში აღინიშნოს საწარმოს საქმიანობის მიმართულებები და საგანი. სხვაგვარად, საჭიროა მიეთითოს, თუ რითი დაისაჭმება საწარმო, საქმიანობის რომელ სახეებს განახორციელებს.

საწარმოს მართვის და კონტროლის ორგანოებზე გადასვლისას, უნდა ითქვას, რომ საწარმოს მართვის (ხელმძღვანელობის) ორგანოები არიან ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება მთლიანად საწარმოს მიმართ და რომელიც აუცილებელია შესასრულებლად მისი ყველა თანამშრომლის ან მისი დიდი ნაწილისათვის.

თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის მართვის სისტემა სპეციფიურია. მაგ.: აქციონერული საზოგადოების მართვის ორგანოების სისტემა წარმოდგენილია ასეთნაირად: აქციონერთა (მესაკუთრეთა), კრება-მართვის უმაღლესი ორგანო; მეთვალყურეთა საბჭო - საწარმოში მსხვილ მესაკუთრეთა მუდმივი წარმომადგენლობა; გამგეობა, დირექცია - საწარმოს მიმდინარე საქმეების მართვის ორგანო. კორპორაციაში შეიძლება არსებობდეს სხვაგვარი სტრუქტურაც, კერძოდ, საერთო კრება და დირექტორთა საბჭო, ან მცირე ზომის ფირმაში საერთო კრება და დირექტორი. მართვა ასეთივე სტრუქტურის შეიძლება იყოს სპს-ში და კს-ში, ხოლო (ის) -ში მეპატრონე თაგადაა მმართველი.

ადსანიშნავია, რომ მესაკუთრე თავის უფლებას წარმოების მართვის სფეროში ახორციელებს უშუალოდ, ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების (ცალკეული პირების) მეშვეობით. საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) მესაკუთრის პრეოგატივაა.

კიდევ ერთხელ მივაქციოთ ყურადღება: თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის მართვის სისტემა სპეციფიურია, ისინი დგინდებიან კანონმდებლობით. რაც შეეხება საწარმოს წესდებას, მასში მკაფიოდ უნდა დაფორმულირდეს, თუ როგორ იწოდება უმაღლესი ორგანო, როგორია მისი კომპეტენცია, რა საკითხების გადაჭრა შეუძლია მას და ა.შ. თუ, მაგალითად, აქციონერულ საზოგადოებაში არსებობს ასეთი ორგანოების სისტემა: საერთო კრება, მეთვალყურეთა საბჭო, დირექტორთა საბჭო და გამგეობა, მაშინ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, როგორ ფორმირდებიან ეს ორგანოები, წევრთა რა რაოდენობა ამოირჩევა ან ინიშნება, რა საკითხების გადაჭრის უფლება აქვთ, როგორ მიიღება გადაწყვეტილება (აბსოლუტური თუ კვალიფიციური უმრავლესობით), დია თუ ფარული კენჭისყრით. ყველა ეს საკითხი წესდებაში დეტალურად უნდა აისახოს, რათა თავი ავარიიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

ახლა ისიც ვთქვათ, რომ საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას აუდიტორული შემოწმება ტარდება წელიწადში ერთხელ მესაკუთრის ინიციატივით.

საწარმოს მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებას კი ამოწმებს საგადასახადო სამსახური.

წესდებაში უნდა აისახოს ფინანსური რესურსების შექმნის წყაროები: მოგება, ამორტიზაციის ანარიცხები, შემოსავლები ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან, საზოგადოების წევრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საპაიო ან სხვა შენატანები, აგრეთვე, სხვა შემოსულობანი.

ბიუჯეტთან, კრედიტორებთან ანგარიშსწორებისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ საწარმოს მოგება გადადის მეწარმის განკარგულებაში და დამოუკიდებლად გამოიყენება მის მიერ.

დია აქციონერული საზოგადოების წესდებაში აუცილებელია გამოიყოს სპეციალური ქვეგანერაციები, რომელშიც აისახება კორპორაციის აქციების გამოშვების და მიმოქვევის, დივიდენდების აღრიცხვის და გადახდის პირობები, ასევე თავად აქციონერთა უფლება-მოვალეობანი.

## საწარმოს ლიკვიდაცია და გაკოტრება

საწარმოს სასიცოცხლო ციკლის საბოლოო ეტაპია მისი დახურვა. ის შეიძლება განსხვაობის ლიკვიდაციისა და გაკოტრების ფორმით. შესაძლებელია თავი ავარიდოთ დახურვის სტადიას, მაგალითად, საწარმოს რეორგანიზაციით.

ფირმის ლიკვიდაცია ხდება მისი მესაკუთრეების ან მათი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების თანახმად. გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს, აგრეთვე, სასამართლომ და საარბიტრაჟო სასამართლომ საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში.

საწარმოს ლიკვიდაცია დაკავშირებულია შემდეგ მიზეზებთან: 1. ფირმის არასაკმარისი ეფექტურობა; 2. საწარმოს მიერ თავისი ამოცანის შესრულების დასრულება. ამ შემთხვევებაში საწარმოს მენეჯმენტის მომავალი დასქმება ნაკლებად გართულებული.

საწარმო ლიკვიდირებულად ან რეორგანიზებულად ითვლება სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან. საწარმოს ლიკვიდაცია ხორციელდება სალიკვიდაციო კომისიის, ან სხვა ორგანოს მიერ, რომელსაც ამ მიზნით ქმნის საწარმოს ქონების მესაკუთრე, ან მისი რწმუნებული ორგანო. მათი გადაწყვეტილებით, ლიკვიდაცია შეიძლება დაეკისროს თვით საწარმოს მართვის ორგანოსაც.

სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნის მომენტიდან საწარმო იღებს სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსს: საწარმოს მართვის ორგანოებს ერთმევათ უფლებამოსილება; მართვის ფუნქციებს ასრულებს სალიკვიდაციო კომისია. ლიკვიდაციის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გამოქვეყნების მომენტიდან „კომისია“ საწარმოს ადგილმდებარების მიხედვით ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს განცხადებას ლიკვიდაციის და კრედიტორების პრეტენზიების წარმოდგენის ვადებისა და წესის შესახებ.

„კომისია“ ვალდებულია ამოიფოს საწარმოს დებიტორული დავალიანებები და გამოავლინოს კრედიტორთა პრეტენზიები; იგი აფასებს საწარმოს სახელშე არსებულ ქონებას; ახდენს ანგარიშს წორებას კრედიტორებთან; ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას მესაკუთრეს, ან სალიკვიდაციო კომისიის შემქმნელ ორგანოს.

საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორთა პრეტენზიები შემდეგი თანმიმდევრობით ქმაყოფილდება: 1. იფარება ფირმის დაქირავებულ მუშაკთა წინაშე დავალიანება; 2. იფარება კრედიტორების დავალიანება; 3. იფარება ბიუჯეტის დავალიანება.

გაკოტრებულად შეიძლება ცნობილ იქნას საწარმო (მოვალე), რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს კრედიტორისა და ბიუჯეტის წინაშე. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესება კი შეიძლება დაკავშირებული იყოს მართვის არაეფექტურის სისტემასთან, არაეკონომიურ წარმოებასთან, არაგონიგრულ რისკებთან და სხვა. სწორედ ამიტომ, საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მის მენეჯმენტს დასაქმების შანსი ერთობ უმცირდება

შპს-ის და ას-ის წესდებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების განხორციელებისთვის საჭიროა საწარმოს ქონება (საწესდებო კაპიტალი). ტერმინი საწესდებო კაპიტალი შინაარსით წააგავს „სოციალისტური საწარმოს საწესდებო ფონდს“, მაგრამ მათი შექმნის წყაროები დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, სოციალისტური საწარმოს საწესდებო ფონდს აყალიბებს სახელმწიფო, ხოლო შპს-ის და ას-ის საწესდებო კაპიტალი ყალიბდება დამფუძნებელთა შენატანებით ან აქციების რეალიზაციით.

საწესდებო კაპიტალი აღირიცხება ბალანსის პასივში. მისი წილი პასივის ჯამში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვანი პარამეტრია. სწორედ ამიტომ მას საწარმოს სხვა ფონდებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

საწესდებო კაპიტალის ძირითადი დანიშნულებაა ფინანსურად და მატერიალურად უზრუნველყოს საწარმოს საქმიანობა საწყის ეტაპზე. მეტიც, საწესდებო კაპიტალი საზოგადოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება და წინაპირობაა, ასე, მაგალითად, კანონით დადგენილია საწესდებო კაპიტალის მინიმუმი შპს-სთვის 200 ლარის, ას-სთვის 15 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოსა და გერმანიისაგან განსხვავებით ბევრ სხვა ქვეყანაში საწესდებო კაპიტალის ოდენობას თავად დამფუძნებლები განსაზღვრავენ.

რასაკვირველია, საწესდებო კაპიტალი, რომლის ფორმირება საპაიო შენატანებით ან აქციების რეალიზაციის ხდება, დროთა ვითარებაში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, მაგრამ არა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმუმზე დაბლა. ზრდა ჩვეულებრივ, საზოგადოების საწესდებო კაპიტალზე მოგების მიმატებით ხდება.

როგორც ითქვა, საწესდებო კაპიტალი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს. იგი ფიქსირდება სადამფუძნებლო დოკუმენტში (წესდება, ხელშეკრულება) და რეგისტრირდება სამეწარმეო რეესტრში. საზოგადოების წესდებით განსაზღვრული უნდა იქნას „გამოცხადებული კაპიტა-

ლის“ შევსების წესი, გრაფიკი და შევსების ბოლო ვადა. საწესდებო კაპიტალის 50% შეტანილ უნდა იქნას ბანკში გახსნილ დროებით ანგარიშზე წესდების ხელ-მოწერისთანავე.

ახლა ისიც ვთქვათ, რომ კანონის თანახმად: საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტის ფულადი ღირებულება უნდა განსაზღვროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა და პარტნიორებმა (დამფუძნებლებმა).

შეტანაზე ვალდებული პარტნიორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არა ფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რაც ამ ობიექტებს რეგისტრაციის მომენტში ჰქონდათ. შესატანის უკან დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისათვის საჭიროა ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებულ უნდა იქნას სამეწარმეო რეესტრში. შპს-ს პარტნიორები შესატანის საბოლოო შეტანამ-დე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ უშუალოდ, შეუზღუდავად მთელი თავიანთი ქონებით. შესატანი შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით, ოდონდ საზოგადოების საბუღალტრო წიგნში თანხა აღირიცხება ეროვნული ვალუტით. შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განისაზღვროს განსხვავებულად, მაგრამ იგი ათზე უნაშოოდ უნდა იყოფოდეს.

საწესდებო კაპიტალს კიდევ ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ვინაიდან იგი დამფუძნებელთა (პარტნიორთა) შენატანების ხარჯზე ივსება, შესაბამისად განსაზღვრავს პარტნიორთა წილს საწესდებო კაპიტალში, საზოგადოების ქონებაში და მოგების განაწილებაში.

## კითხვები აუდიტორიაში განხილვისათვის და შემოწმებისათვის

1. ბიზნეს-გეგმის შემუშავების შემდეგ რა დგება დღის წერიგში?
2. რა უპირატესობებით სარგებლობს არსებული საწარმოს შეძენა ახალი საწარმოს შექმნასთან შედარებით?
3. რა არის ფირმა და რა ნიშნების მიხედვით ხდება მისი კლასიფიკაცია?
4. ჩამოყალიბეთ საკუთარი საქმის ჩამოყალიბების გზები და დაახასიათეთ თითოეული.
5. „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით“ რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია ნებადართული?
6. რა შემთხვევაში უნდა მიმართოთ ინდივიდუალური საწარმოს ჩამოყალიბებას?
7. რაში მდგომარეობს სპს-ის და კს-ის არსი და ღირსება-ნაკლოვანებანი?
8. რა ღირსებები აპირობებენ აქციონერულ საზოგადოების მიმზიდვებისა და მის წამყვან როლს ეკონომიკაში?
9. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მცირე, საშუალო და დიდი საწარმო?

10. რა არის ფრანჩაიზი და რაში მდგომარეობს მისი წარმატების მთავარი საიდუმლო?
11. რა ძლიერი და სუსტი მხარეები ახასიათებს მცირე ბიზნესს?
12. სამეწარმეო საქმიანობის იურიდიული უფლების მოპოვებისათვის რა არის საჭირო?
13. რა ფუნქციებს ასრულებს სადამფუძნებლო დოკუმენტები?
14. თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის რა სადამ-ფუძნებლო დოკუმენტებია საჭირო და როგორ უნდა მომზადდეს ისინი?
15. რა შემთხვევაში შეიძლება ეთქვას ის-ს და ას-ს უარი რეგისტრაციაზე?
16. როგორ გესმით საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ საკითხი?
17. რა მიზეზებთან არის დაკავშირებული საწარმოს ლიკვიდაცია?
18. რა არის საზოგადოების წესდება და რა უნდა აისახოს მასში?
19. რაში მდგომარეობს საწესდებო კაპიტალის არსი და ფუნქციები?
20. რა საკითხები უნდა გადაწყდეს სადამფუძნებლო კრებაზე?
21. როგორ უნდა შეიტანოთ ცვლილებები სადამფუძნებლო დოკუმენტებში და სამეწარმეო რეესტრში?
22. რატომ ეხმარება სახელმწიფო მცირე ბიზნესს?
23. რატომ მიმართავს სახელმწიფო მსხვილი საწარმოების მიმართ ორად პოლიტიკას?

**შესარჩევი შეკითხვები:**      **სვეტის ყოველ ტერმინს შეუსაბამეთ გან-**  
**მარტება**    **სვეტიდან**

**სვეტი**

**სვეტი**

- |                                |   |
|--------------------------------|---|
| -1.      ინდივიდუალური საწარმო | a.      საწარმო, რომელშიც არაუმეტეს 40 დასაქმებულია და წლიური ბრუნვა 500 ათას ლარამდეა. |
| -2.      საზოგადოების წესდება  | b.      საწარმო, სადაც მოქმედებს პრინციპი: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.        |

- |      |  |    |  |
|------|--|----|--|
| -3.  | აქციონერები                              | გ. | საწარმო, რომლის კაპიტალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 200 ლარს.                                     |
| -4.  | მინდობილობა                              | დ. | პრივილეგირებული აქცია.   |
| -5.  | მეწარმე                                  | ე. | ბიზნესის ყველაზე მარტივი და გავრცელებული ფორმა.  |
| -6.  | დივიდენდი                                | ვ. | საზოგადოების „კონსტიტუცია“.  |
| -7.  | დირექტორთა საბჭო                         | ზ. | აქციონერული საზოგადოების მე-საკუთრები.   |
| -8.  | აქციონერული საზოგადოება                  | თ. | აქციონერის სახელით ხმის მიცე-მის წერილობითი უფლება.  |
| -9.  | მცირე საწარმო                            | ი. | პირი, რომლის საქმიანობა რის-კთან არის დაკავშირებული.   |
| -10. | სოლიდარული პასუხისმგებლო-ბის საზოგადოება | კ. | აქციონერის შემოსავლის წილი.  |
| -11. | შპს                                      | ლ. | აქციონერების მიერ კორპორაციის ხელმძღვანელად არჩეული პირები.                                    |
| -12. | უხმო აქცია                               | ბ. | საწარმო, რომლის საწესდებო კა-პიტალი მინიმუმ 15000 ლარია.                                       |
| -13. | სასამართლოს რეგისტრაციის მოწმობა         | გ. | სამეწარმეო საქმიანობის იურიდი-ული უფლების მიმნიჭებული აქტი.                                    |
| -14. | კომანდიტური საზოგადოება                  | ო. | საზოგადოება, რომელშიც მინიმუმ ერთი ნამდვილი (კომპლექსური) და ერთი მეპაიე (კომანდიტორი) წევრია. |
| -15. | აქცია                                    | ჟ. | ფირმის წილობრივი მესაკუთრის ტიტული.  |
| -16. | აქციის კურსი                             | ქ. | ბაზარზე ჩამოყალიბებული თავო-სუფალი ფასი.   |
| -17. | საწესდებო კაპიტალი                       | რ. | საწარმოს წესდებით გათვალისწი-ნებული მიზნებისა და ამოცანების                                    |

		განხორციელებისათვის საჭირო ქონება.
-18.	„ბაზრის ენა“	ს. აქციონერული საზოგადოების მარ- თვის უმაღლესი ორგანო.
-19.	ფირმა	ტ. ლიცენზია, რომლის დახმარები- თაც მცირე ფირმა მოქმედებს, რო- გორც დიდი ფორმის სავაჭრო ჯაჭვის ნაწილი.
-20.	აქციონერთა კრება	უ. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განმაზოგადებელი ტერ- მინი.
-21.	ფრანჩაიზი	ყ. აქციის საბაზრო ფასი.

## გაარკვიეთ, ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი (ს) და რომელი არა (ა):

- 1. მომხმარებელს უნდა შესთავაზოთ არა ის, რისი წარმოებაც თქვენ შეგიძლიათ ან გაგაჩნიათ, არამედ ის, რაც მათ სურთ.
- 2. ბიზნესის დაწყებამდე არ არის აუცილებელი საკუთარი უნარ-თვისებების შეფასება.
- 3. კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში ძირითადი სტრუქტურული ერთეულია მსხვილი (დიდი) საწარმო.
- 4. მცირე საწარმო არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.
- 5. ინდივიდუალური საწარმო არის ფიზიკური პირი, მისი პასუხისმგებლობა განუსაზღვრელია.
- 6. სპს-ის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ პარტნიორთა გაერთიანებით შესაძლებელია დამატებითი სახსრებით მოზიდვა.
- 7. აქციონერულ საზოგადოებაში საკუთრებისა და მართვის უფლება ერთმანეთისაგან გამიჯულია.
- 8. სამეწარმეო საქმიანობა ყოველთვის რისკთან არ არის დაკავშირებული.
- 9. ინდივიდუალური საწარმო შეგიძლიათ შეარჩიოთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ბიზნესს არ სჭირდება დიდი კაპიტალი და არ გსურთ მოგება სხვასაც გაუნაწილოთ.
- 10. შპს არ შეიძლება დააარსოს ერთმა პირმა.
- 11. აქციონერული საზოგადოება არის იურიდიული პირი, რადგანაც მისი ქონება გამოცალკევებულია დამფუძნებლის პირადი ქონებისაგან და ვალდებულებებზე პასუხს აგებს ამ გამოცალკევებული ქონებით.

- 12. აქციონერულ საზოგადოებაში ადგილი აქვს ორმაგ დაბეგვრას.
- 13. აქციონერული საზოგადოება არ უწყობს ხელს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას და აქციონერთა პასუხისმგებლობის შეზღუდვას.
- 14. ფირმის რეგისტრაციის ძირითადი ფუნქციაა საჯაროობის გზით დაიცვას მესამე პირები და კრედიტორები, რომელთაც რეგისტრაციის მასალების გაცნობით შეუძლიათ შეიტყონ, რა ქონების მესაკუთრეა საწარმო.
- 15. მოგების მიღების მიზნით მხოლოდ იმ საქონელს აწარმოებენ, რომელზეც მოთხოვნაა.
- 16. თუ გიორგი იყიდის მაღაზიას, რომელსაც იგივე სახელწოდება აქვს, რაც ცნობილ ქართულ კომპანიას, ასევე, თუ შეიძენს ამ კომპანიის მოწყობილობასა და პროდუქტს და გადაუხდის მას სახელწოდების გამოყენებისათვის, მაშინ მისი ფირმა იქნება ფრანჩაიზული.
- 17. საწარმოს ლიკვიდაცია დაკავშირებულია შემდეგ მიზეზებთან: ა. ფირმის არასაკმარისი ეფექტიანობა; ბ. საწარმოს მიერ თავისი ამოცანის შესრულების დასრულება.
- 18. ნოვატორულ წამოწყებათა რეალიზაციას და ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას მისდევს ფრანჩაიზი.

## ტესტები

### შემოხაზეთ სწორი ვარიანტი (ვარიანტები)

1. რა შემთხვევაში ხდება საწარმოს გაკოტრებულად ცნობა?
  - ა. გადახდის უუნარობის ფაქტის დაფიქსირებისთანავე;
  - ბ. სასამართლოს გადაწყვეტილებით;
  - გ. დამოუკიდებლად ცხადდება კრედიტორთან შეთანხმების საფუძველზე.
2. საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში რა თანმიმდევრობით კმაყოფილდება კრედიტორთა პრეტენზიები?
  - ა. იფარება ბიუჯეტის დავალიანება;
  - ბ. იფარება კრედიტორის დავალიანება;
  - გ. იფარება ფირმის დაქირავებულ მუშაკთა დავალიანება.
3. ინდივიდუალური საწარმო არის:
  - ა. დასაფუძნებლად ძალიან ძვირი და რთული;
  - ბ. ბიზნესის ორგანიზების ყველაზე უფრო მარტივი და გავრცელებელი ფორმა;

გ. ერთზე მეტი მფლობელის კუთვნილი ფორმა.

**4. პარტნიორული საწარმოს ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ:**

- ა. პარტნიორთა გაერთიანებით შეიძლება დამატებითი სახსრებით მოზიდვა;
- ბ. თითოეულ პარტნიორს სრული ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება;
- გ. საქმიანობა გრძელდება იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი პარტნიორი გარდა-იცვალა.

**5. მსხვილ კორპორაციაში:**

- ა. მართვას ახორციელებენ აქციონერები;
- ბ. მფლობელობა და მართვა ერთმანეთისგან გამიჯნულია;
- გ. დირექტორთა საბჭო წარმოადგენს ერთადერთ მესაკუთრეს.

**6. სამეწარმეო საქმიანობა**

- ა. ყოველთვის სარგებლიანია;
- ბ. პიროვნების ხასიათის გამოვლინებაა;
- გ. ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული.

**7. დასაქმების შანსს საწარმოო მენეჯმენტი რომელ შემთხვევაში უფრო მეტად კარგავს?**

- ა. გაკოტრბის შემთხვევაში;
- ბ. ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- გ. არცერთ შემთხვევაში.

**8. ბაზრის სიტუაციაზე რომელი უფრო მეტადაა დამოკიდებული?**

- ა. მცირე საწარმო;
- ბ. დიდი საწარმო;
- გ. საშუალო საწარმო.

**9. სახელმწიფო, ჩველებრივ, რომელი საწარმოს მიმართ იყენებს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას?**

- ა. მცირე საწარმოს;
- ბ. დიდი საწარმოს;
- გ. არცერთის მიმართ

**10. ერთი პირის მიერ შეიძლება შეიქმნას:**

- ა. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- ბ. კომანდიტური საზოგადოება;
- გ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

**11. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ორგანიზაციულ—სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებაა დამოკიდებული განსაზღვრულ საწესდებო კაპიტალზე?**

- ა. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების;
- ბ. კომანდიტური საზოგადოების;
- გ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების;
- დ. აქციონერული საზოგადოების.

**12. ჩამოთვლილთაგან, რომელშია ერთდროულად შეზღუდული და შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პარტნიორები?**

- ა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში;
- ბ. აქციონერულ საზოგადოებაში;
- გ. კომანდიტურ საზოგადოებაში.

**13. განცხადების წარდგენიდან რამდენი დღის განმავლობაში არის გალდებული საგადასახადო ორგანო, რომ რეგისტრაციაში გაატაროს აქციონერული საზოგადოება?**

- ა. ერთი დღის განმავლობაში;
- ბ. შვიდი დღის განმავლობაში;
- დ. სამი სამუშაო დღის განმავლობაში;
- ე. სამი დღის განმავლობაში

**გაძლიერებული პრაქტიკუმი**

**ტესტები  
შემოხაზეთ ერთადერთი სწორი ვარიანტი**

**1) ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არ არის ერთპიროვნული მეწარმის ძლიერი მხარე?**

- 1.არასტანდარტულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე;
- 2.მმართველური საქმიანობის სპეციალიზაცია;
- 3.საქმის გაძლოლის რისკის თავის თავზე აღება;

4. ცვალებადი პიროებისადმი მოქნილი და სწრაფი რეაგირება.

**2) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საქციო საზოგადოების დირსება?**

1. აქციონერული საზოგადოება ხელს უწყობს მსხვილი დამატებითი კაპიტალის მოზიდვას ინვესტორთა (აქციონერთა) პასუხისმგებლობის შეზღუდვის გამო;

2. აქციონერული საზოგადოებაში სახსრების მოზიდვა ხდება გამსესხებლის (კრედიტორის, ინვესტორის) და მსესხებლის (აქციონერთა საზოგადოების) მინიმალური რისკის პირობებში, რაც წაახალისებს მეწარმის ნოვატორულ აქტიურობას;

3. აქციონერულ საზოგადოებაში მესაკუთრისა და მმართველის ფუნქციის გამიჯვნა, პროფესიული, თანამდებობრივი ზრდის და შრომის ანაზღაურების კარგი პირობები, ხელს უწყობს მაღალი რანგის მმართველების მოზიდვას და ამის ხარჯზე, წარმოების საერთო ეფექტიანობის ამაღლებას;

4. აქციონერულ საზოგადოება მოგებიდან იხდის გადასახადს, ხოლო აქციონერი – მიღებული დივიდენდიდან.

**3) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საკუთარი საქმის დაფუძნების (ჩამოყალიბების) გზა?**

1. უპარ არსებული საწარმოს შესყიდვა;

2. სახელმწიფოს ინიციატივით კომანდიტური საწარმოს ჩამოყალიბება;

3. ახალი საწარმოს ცარიელ ნიადაგზე შექმნა, ასე ვთქვათ, საქმის ნულიდან დაწყება;

4. გარკვეული თანხის (150–200 ათასი აშშ დოლარი) საფასურად ფრანჩაიზის შექმნა.

**4) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სწორი?**

1. 2010 წლის 1 იანვრიდან ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან აქვს იგივე ძალა, რაც საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობას;

2. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში ან სახალხო ბანკის ნებისმიერ ფილიალსა და სერვის ცენტრში;

3. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიღებისათვის ერთი სამუშაო დღის ვადაში გადახდილი უნდა იქნას მოსაკრებელი-15 ლარის ოდენობით, ხოლო განცხადების შეტანისთანავე საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიღებისათვის – 50 ლარი;

4. კველა ზემოთ ჩამოთვლილი.

**5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მცდარი?**

1. იურიდიული პირის სტატუსის მეწარმე სუბიექტები ერთი სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციისათვის იხდიან მოსაკრებელს – 100 ლარის ოდენობით, ხოლო განცხადების შეტანისთანავე რეგისტრაციისათვის იხდიან მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით.

2. საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა;

3. საქციო საზოგადოების რეგისტრაციისათვის კაპიტალის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა არ მოითხოვება;

4. საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა.

**6) მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს,**

1. რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას;
  2. რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას;
  3. რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს;
  4. რომელიც აქმაყოფილებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილს.
- 7) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სწორი?
1. აქციონერს უფლება აქვს მიიღოს საზოგადოების მოგებიდან წილი (დივიდენდი);
  2. აქციონერს უფლება აქვს საზოგადოების ლიკვიდაციის (დახურვის, გაუქმების) შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს დარჩენილი ქონების განაწილებაში;
  3. აქციონერს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში (თუ ფლობს აქციას ხმის უფლებით);
  4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- 8) მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება, გაუქმება და მიკრო ბიზნესის სერტიფიკატის გაცემა ხდება:
1. ადგილობრივი სასამართლოს მიერ;
  2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით;
  3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (მარეგისტრირებელი ორგანოს) მიერ;
  4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის მიერ.
- 9) საგადასახადო ორგანოს მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმებისა და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოსვლის საფუძველია:
1. მეწარმე ფიზიკურმა პირმა საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს საგადასახადო წლის დასრულებისა მიმართა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით;
  2. დაირღვა ერთობლივი შემოსავლის ოდენობის შეზღუდვა. მეწარმე ფიზიკურ პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციაზე დადგომის ვალდებულება;
  3. საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს. მეწარმე ფიზიკური პირისთვის საკონტროლო-სალარო აპარატების გამოუყენებლობისათვის სანქციის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაკისრება;
  4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- 10) მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი და გადასახადის განაკვეთებია:
1. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5 პროცენტით;
  2. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ: а) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60

პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები;

3. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტიანი ფიქსირებული გადასახადით.

4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

11)მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი რეგისტრაციას გადის და სერტიფიკატს ღებულობს:

1.საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში ან სახალხო ბანკის ნებისმიერ ფილიალსა და სერვის ცენტრში;

2.საგადასახადო ოგანოში და არ იხდის სარეგისტრაციო მომსახურების საფასურს (მოსაკრებელს);

3.ადგილობრივ სასამართლოში;

4.ყველა ზემოთ ჩამოთვლილში.

12) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ინდივიდუალური მეწარმეობის (ინდივიდუალური საწარმოს) ღირსება?

1. იოლია მისი მოწყობა-ორგანიზაცია;

2. მას აქვს მაქსიმალური თავისუფლება;

3. მასში არსებობს საიდუმლოებების დაცვის გარანტია;

4. ინდივიდუალური საწარმოში არსებობს სიძნელები დიდი კაპიტალის მოზიდვაში.

13) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის იურიდიული პირი?

1.ინდივიდუალური მეწარმე (იმ);

2.კომანდიტური საზოგადოება (კს);

3. სააქციო საზოგადოება (სს)

4.კოოპერატივი.

14) ვის შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსი?

1. მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, თუკი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს;

2. მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, თუკი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წლის განმავლობაში აღემატება 100 000 ლარს;

3.მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, თუკი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს;

4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილს.

15) მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა.

რა ხდება, როცა ქვეყანაში ბიზნესის (ფირმის) რეგისტრაციის პროცედურა არის ძალის რთული?

## პრაქტიკიდან

საინტერესო მაგალითი ქართული ბიზნესის

### "გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა"

„გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა“ 2009 წელს ჩამოყალიბდა. კომპანია თავდაპირველად ორ ბრენდს მოიცავდა – ხილის და ბოსტნეულის ეკოლოგიურად სუფთა წვენებს ბრენდ „ულა"-ს სახელით აწარმოებდა, ხოლო საბავშვო ნატურალურ წვენებს მეორე ბრენდის-, „ულა ბაბუ" სახელწოდებით. კომპანიამ პირველივე წელს მოიპოვა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მწარმოებლის სახელი და გახდა ლიდერი საქართველოში ნატურალური წვენების წარმოებაში.

2010 წლიდან კომპანიამ დაიწყო მურაბების, ჯემების, ტყემლების, საწებლების, მარინადების, ტომატ–პასტის, ცივი სადილების, ნარშრაბის და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. 2010 წლის ბოლოსთვის, კომპანია აწარმოებდა 150–ზე მეტი დასახელების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას.

„გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა“ მდებარეობს საქართველოში, ქ. გორში, შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც მდლავრ აგრარულ სექტორად ითვლება სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ ხილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების წარმოებაში. რეგიონში ხელსაყრელი ეკოლოგიური და კლიმატური პირობებია. სამეურნეო მიწების მოწყვა ხორციელდება მთის მდინარეების წყლით.

გენეტიკურად სახეშეუცვლელ ნედლეულს ახასიათებს განსაკუთრებული საგემოვნო თვისებები და არომატი, რასაც განაპირობებს მათში ჰარმონიულად შერწყმული მრავალრიცხოვანი ვიტამინები და მიკროელემენტები, რომელთა შენარჩუნებასაც უზრუნველყოფს „გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა“ ტრადიციული ხერხებითა და სრულყოფილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

„გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხნის“ პროდუქცია წარმოადგენს ხარისხისა და გემოვნების ეტალონს ჭეშმარიტი გურმანებისთვის და არ აყენებს ეჭვქვეშ პროდუქტის ნატურალურობას. საკუთარი დისტრიბუციის საშუალებით კომპანიის პროდუქცია შესულია საქართველოს თითქმის ყველა სავაჭრო ქსელში. "გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხნის" პროდუქცია წარმოდგენილია ყველა საფასო სეგმენტში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი შემოსავლის მქონე მომხმარებლისათვის. კომპანიას მთლიანად საქართველო არა

აქვს მოცული, მაგრამ თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, აჭარა და  
იმერეთი მარაგდება „კულას“ პროდუქციით.

„კულას” წარმოების ისტორია დაიწყო 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, ივანე გოგლიძემ და მისმა უკრაინელმა პარტნიორებმა გადავწყვიტეს, რომ საქართველოში ეწარმოებინათ ნატურალური წვენები. ქალაქ გორში იყო ძველი ქარხნის ტერიტორია, რომელიც ომამდეც კარგად იყო გაძარცვული, მაგრამ ომის შემდომ საერთოდ განადგურდა. მათ აიღეს ეს საწარმო და მისი ორი საამქრო გაარემონტეს. დაახლოებით ერთი წელი დასჭირდა საწარმოს რემონტისთვის და მანქანა-დანადგარების ჩამოტანისთვის, შედეგად პირველი პროდუქცია გამოშვებული იქნა 2009 წელს. ამას მოჰყვა გაფართოება, გარემონტდა კიდევ სხვა საამქროები, შემოტანილი იქნა ახალი დანადგარები და ამჟამად 200–ზე მეტი დასახელების პროდუქცია გამოდის, როგორც მინაში, ასევე მუყაოში, პოლიეთილენში და პლასტმასში.

კომპანიას აქცენტი გაკეთებული აქვს არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე და ნატურალურობაზე. ამის შესახებ ლაბორატორიული კვლევებიც არსებობს, რომ კომპანიის წვენები, მურაბები, ჯემები და სხვა დანარჩენი პროდუქცია არის 100%-ით ნატურალური და არ შეიცავს რაიმე დანამატებს. „კულას“ პროდუქცია გადის 15-ზე მეტ ქვეყანაში, ესაა: აშშ, გერმანია, პოლონეთი, ჩეხეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, დასტ-ს ქვეყნები, საბერძნეთი, ინგლისი, ასევე,

ისრაელი და რუსეთი.

კომპანია მუშაობს სამი მეთოდით: 1.არსებობს ჩამბარებელი პუნქტები რეგიონებში, რომლებიც იბარებენ პროდუქციას და შემდეგ აწვდიან კომპანიას; 2.უშალოდ მოსახლეობა, რომელსაც მოაქვს კომპანიამდე დიდი რაოდენობით, მაგალითად: აჭარიდან მანდარინი, კახეთიდან ალუბალი ა. შ; 3.ჩამოყალიბდა სახელმწიფო კორპორაციებიც, რომლებისაგანაც კომპანია ნედლეულს ყიდულობს საბაზო ფასებში.

ზემოთქმულთან ერთად, სოფლის მეურნეობას სჭირდება პროგნოზი და მომზადება. საჭიროა წინასწარი ინფორმაცია თუ კონკრეტულ წელს რა მოცულობის მოსავალია მოსალოდნელი, ვინაიდან წარმოების პროცესი საკმაოდ რთულია და ყველაფერს წინასწარ, თვეებით ადრე უნდა მომზადება. ამასთან, არსებობს მინის პრობლემა, რადგან საქართველოში მინის ქარხანა არ არსებობს, მინა შემოიტანება ევროპიდან. ეს ქარხნებიც თავის მხრივ დატვირთულია და, პირობითად, რომ დაგჭირდეს მინა ხვალ, რასაკვირველია, ვერ მოესწრება. იმიტომ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. შესაბამისად, ყველა ეს პროცესი ერთმანეთზე უნდა იყოს გადაბმული, რომ საქმე გაკეთდეს.

წინათ კომპანია ყველაფერს მინის ქილებში უშვებდა. იყო პრემიუმ ფასიც და ხარისხიც. იქედან გამომდინარე, რომ შუშა ძვირი სიამოვნებაა, კომპანიამ შარშან მიიღო გადაწყვეტილება, რომ იგი შევიდეს არა მატრო პრემიუმ სეგმენტში, არამედ იგივე ხარისხით შევიდეს საშუალო სეგმენტშიც. შესაბამისად, უკვე გამოდის წვენები მუყაოს შეფუთვაშიც. მომავალში იგიგმება ხორცის

კონსერვის წარმოება. კომპანიას შარშან უკვე ჰქონდა ამის პრაქტიკა, გამოუშვა ხორცის კონსერვი, მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და დიდი მოწონება დაიმსახურა. კომპანია კვლავ აპირებს ხორცის კონსერვის წარმოების განახლებას, ასევე, გეგმაში აქვს ნატურალური ლიმონათების წარმოება, ყოველგვარი ქიმიური მინარევების გარეშე.

### სადისკუსიო კითხვები:

1. ვინ არიან ”გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხნის” დამფუძნებლები, როგორ შეიქმნა ეს საწარმო, რა სირთულეებთან ჰქონდა საქმე და როგორ მიაღწია დღევანდელ მდგომარეობას?
2. კომპანია რა სახის პროდუქტებს აწარმოებს და რა მასშტაბით, შიდა ბაზარზე რეალიზაციის გარდა, გადის თუ არა მისი პროდუქცია ექსპორტზე?
3. კომპანია შიდა ბაზარზე რა მეთოდებით ყიდულობს ნედლეულს?
4. კომპანია გეგმავს თუ არა გაფართოებას და რა სიახლეები და სამომავლო გეგმები აქვს?

წყარო: გაზეთი „ბანკები და ფინანსები“

პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი  
(ჩასე შტადე)

ინდივიდუალური მფლობელობის საწარმო „საბავშო თავსატეხი“.

ქალბატონი ნინო საბავშო თავსატეხებით პირველად მაშინ დაინტერესდა, როდესაც ისინი ხელოსნის ფარდულში დაინახა. ნინოს ხელოვნება და სხვადასხვა წვრილმანი ნაკეთობა ყოველთვის აინტერესებდა. მან იგრძნო, რომ მსგავსი საქონლის დამზადება შეუძლია. ქ-მა ნინომ თავდაპირველად თავსატეხების დამზადება გართობის მიზნით დაიწყო, რამაც მეგობრების ყურადღება მიიპყო. მის მიერ ბაზარზე გატანილი სათამაშოების პირველ კოლექციას დიდი წარმატება ხვდა წილად. შემდეგ ნინომ ლენტური ხერხი შეიძინა, რამაც მას 3 ახალი ნიმუშის სათამაშოს დამზადების საშუალება მისცა. იმ დროს ნინო დაწყებით სკოლაში ორგანიზატორად მუშაობდა და კარგად იცნობდა ბავშვების სამყაროს. საკუთარი ბიზნესის დაწყების შესახებ ნინოს გადაწყვეტილება პირადმა გარემოებამაც განაპირობა. იგი მარტოხელა დედა იყო და ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. გარდა ამისა, მას არ სურდა „დაბმული“ ყოფილიყო გარკვეული სამუშაო საათებით: ასომთით დაავადებული მისი ქალიშვილი ხშირად აცდენდა სკოლას, რის გამოც ნინომ წინასწარ არ იცოდა, თუ როდის მოუწევდა სამსახურის გაცდენა. 2004 წელს ნინომ „საბავშო თავსატეხების“ სახელწოდებით ინდივიდუალური მფლობელობის საწარმო დააარსა. ფირმა სახელოსნოში მდებარეობს, საიდანაც

ნინოს ნამზადი სახლში მიაქვს (ხერხვა ხმაურიანი საქმეა). იგი ძირითადი სახის სათამაშოს აწარმოებს: ხის საათები, ასაწყობი გამოცანები და დაახლოებით 30 სხვადასხვა ცხოველის ფიგურა. სახელოსნოში მუშაობაზე მას დროის მცირე ნაწილი ეხარჯება, რადგან გაყიდვის, შეფუთვის, აღრიცხვისა და სხვა ფუნქციების ჩატარება შინაც შეიძლება. ნინოს საქმიანობა კმაყოფილებას ანიჭებს. მისი დრო მასვე ეპუთვნის, მოსწონს სამუშაო და გრძნობს, რომ ხალხი ამ საქმიანობისთვის პატივს სცემს. ბევრი აღნიშნავს, რომ მისი ნაწარმი ზოგიერთი ცნობილი ფირმის ნაწარმზე უკეთესია. ვინაიდან ბაგშვის სათამაშოებზე დიდი მოთხოვნაა, „საბავშო თავსატებეს“ ბევრად უფრო დიდი რაოდენობის პროდუქციის გამოშვება და გაყიდვა ძალუმს. ამ გზით მას შეუძლია მოგების გაზრდა. ნინოს მასალის შოვნაზე, სააღრიცხვო სამუშაოზე, შეფუთვისა და ნაწარმის გაგზავნაზე ბევრი დრო ეხარჯება. მას ესმის, რომ რამდენიმე კაცის დაქირავების შემთხვევაში საქმიანობა გაუადვილდება, მაგრამ მათი დახელოვნებისთვის სულ ცოტა 3 თვეა საჭირო, ნინო კი არ არის დარწმუნებული, რომ დაქირავებული მომუშავეები დიდი ხნის განმავლობაში დარჩებიან სამუშაოდ მის ფირმაში. წარმოების მასშტაბების გაზრდა სხვა საშიშროებასთანაცად დაკავშირებული. საჭირო დამატებითი სესხის ასადებად ნინომ საკუთარი სახლი უნდა დააგირაოს, რაც მისი აზრით, დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ამ მოსაზრებების გამო, ნინო ჯერ ჯერობით არ ფიქრობს წარმოების გაფართოებაზე და პროდუქციის წარმოების მცირე მოცულობით იფარგლება.

### **სადისკუსიო კითხვები:**

1. როგორ გგონიათ, ინდივიდუალური მფლობელობა არის თუ არა ნინოს ბიზნესის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა.
2. რა უპირატესობანი და ნაკლოვანებები აქვს ნინოს ასეთი ფორმის ორგანიზაციას.
3. ინდივიდუალური მეწარმის ნაცვლად, შპს-ს დაარსების შემთხვევაში რა ვალიდურებები ექნება ნინოს საგადასახადო კუთხით
4. ბიზნესის რომელ სახეს მიეკუთვნება ნინოს საქმიანობა
5. დაასახელეთ და დაასაბუთეთ ინდივიდუალური მფლობელობის ფორმით მისადები ბიზნესის 10 მაგალითი.

### **პრაქტიკული სიტუაციის ანალიზი (ჩასე შტადე) სამგორის ნაყინის ფრანჩაიზი**

ბატონი გიორგი რამდენიმე წლის განმავლობაში ერთ-ერთი დიდიუნივერმატის რესტორანში მუშაობდა, მისი სამუშაო დიდ დროს მოითხოვდა, შემოსავალი კი არცთუ ისე დიდი იყო. 2002 წელს მან გაზეთში სარეკლამო განცხადება წაიკითხა, რომელშიც კომპანია „სამგორი“ მოსახლეობას მისგან 10000 ლარად ფრანჩაიზზე ნებართვის შესყიდვას სთავაზობდა. ბანკში სესხის აღებითა და საკუთარი დანაზოგების მეშვეობით გიორგიმ ფრანჩაიზზე ნებართვის ყიდვა შეძლო. ფრანჩაიზერმა იგი სავაჭრო მასალით უზრუნველყო, შენობის

კეთილმოწყობაში დაეხმარა, ნაყინის წარმოება, მომხმარებელთან ურთიერთობა და სხვადასხვა დანადგარის მაგალითად, (მაცივრების, სალაროების, ავეჯის) გამოყენება ასწავლა. გიორგის თბილისში და ქალაქის შემოგარენში 10 კილომეტრის რადიუსში „სამგორის“ მარკით სხვადასხვა სახის ნაყინის გაყიდვის მონოპოლია მიენიჭა. თავის მხრივ, გიორგი ვალდებული იყო მოგების 5% „სამგორისათვის“ გადაერიცხა. გიორგი ამ გარიგების უპირატესობებს ასე აღწერს: „მე ვგრძნობ, რომ რაღაცას ჩემთვის ვაკეთებ. მუშაობის შედეგად დანაზოგიც მაქვს. რაც უფრო მეტს ვმუშაობ, მით უფრო მეტი შემოსავალი მაქვს. გარდა ამისა, საქვეყნოდ ცნობილ კომპანიასთან კავშირის გამო, მე უზრუნველყოფილი ვარ დახმარებითა და უსაფრთხოების გარანტიაც მაქვს. ისინი მე დიდ დახმარებას მიწევენ უზრუნველყოფებ და ჩემი შემოსავლების მინიმალური ნაწილი მიაქვთ“.

#### სადისკუსიო კითხვები:

1. ჩამოთვალეთ თქვენი მოსაზღებანი ამგვარი საქმიანი ურთიერთობების უპირატესობების შესახებ: გიორგისთვის; ფრანჩაიზერისთვის.
2. რა მთავარ მოსაზრებას მოიყვანთ ფრანჩაიზული ოპერაციების ზრდის მიზეზად.
3. ჩამოთვალეთ ბიზნესის 6 ტიპი რომლებიც შეიძლება ფრანჩაიზად იყვნენ ორგანიზებული. აირჩიეთ ერთი მათგანი და ახსენით, რატომ გამოდგება იგი ფრანჩაიზად
4. რატომ მიიჩნევს გიორგი, რომ მისთვის ფრანჩაიზი ბიზნესის ხელსაყრელი ფორმაა. რა მიზეზებმა შეიძლება შეცვალოს მისი წარმოდგენა.